



მეპაროჯახის უფროსი

მე რაგომ უნდა შევიცვლო

ეს მისი
ბრალია

მე კონფროლი
დავკარგე

მე მრცხვანია

გთხოვ,
ვაპავი

მე უკეთესი აღამიანი გავხდები

ადრეულ ეტაპზე მოქალაქის
ქალაქობრივი ეტაპის კორექციის
შნიშვნელობა და არსებული
საუკეთესო გამოცდილება

ს ა რ ჩ ე ვ ი

ძირითადი შედეგები	3
შესავალი.....	6
მეთოდოლოგია	8
საკითხის კონტექსტი.....	9
მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის დანერგვის სამართლებრივი ვალდებულებები - სიტუაცია საქართველოში	11
1. საუკეთესო პრაქტიკა	13
მონიტორინგის მიგნებები	20
2. დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ	20
3. შესაძლებელია თუ არა მოძალადის ქცევის კორექცია?.....	22
4. განწყობები მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების მიმართ	23
4.1 როგორი უნდა იყოს მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამა? რა ტიპის მომსახურებები უნდა მიიღოს პროგრამის ბენეფიციარმა?	28
5. მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის მახასიათებლების შეფასება	30
5.1 ბენეფიციარის ჩართვა პროგრამაში.....	30
5.2 მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის მომსახურების მიმწოდებლები და განხორციელების ფორმები	33
5.3 მოძალადის ქცევის კორექციის სამიზნე ჯგუფები	36
5.4 მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის მონიტორინგი.....	37
6. რას ნიშნავს მოძალადის ქცევის კორექციის ნარმატიული პროგრამა?	39
დასკვნა	40
რეკომენდაციები.....	41
ბიბლიოგრაფია.....	45

პუბლიკაცია მომზადდა საერთაშორისო ორგანიზაციის
Brot für die Welt (პური მსოფლიოსთვის)
ფინანსური მხარდაჭერით
პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,
არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

ქირითადი შედეგები

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი წვერი სახელმწიფოებისთვის აწესებს მოთხოვნას და ავალდებულებს მათ, განახორციელონ ინვესტირება ოჯახში მოძალადე პირებისადმი მიმართულ პროგრამებში. პროგრამები უნდა ფოკუსირდებოდეს მოძალადის მიერ არაძალადობრივი ქცევის დასწავლაზე, რაც სამომავლოდ გამოიწვევს ძალადობრივი ქცევის სტრუქტურის ცვლილებას და მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ძალადობის პრევენციაზე.

საქართველოში არსებული პრაქტიკით, მოძალადეებთან მუშაობა იწყება მხოლოდ პენიტენციურ სისტემაში მათი მსჯავრდებულების ან პრობაციონერების სახით მოხვედრის შემდეგ. 2018-2019 წლებში, ესპანური მოდელის საფუძველზე, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემისა და პენიტენციური სისტემისთვის ამოქმედდა ერთობლივი „მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა“, რომლის გავლის ვალდებულება ეკისრებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 168 პრიმა მუხლით ოჯახში ძალადობის ბრალდებით ყველა მსჯავრდებულს. აღნიშნული პროგრამა მიმართული იყო მოძალადის მხრიდან ძალადობრივი ქცევების გაცნობიერებასა და დაძლევაზე, ახალი უნარჩვევების შექმნასა და კონფლიქტების მართვაზე. თუმცა აღნიშნული პრაქტიკაც, სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშის თანახმად, საკმაოდ ფრაგმენტული აღმოჩნდა. ასევე არ მომხდარა ძალადობრივი ქცევის მართვის პროგრამის ეფექტიანობის შეფასება¹.

მსოფლიოში არსებული გამოცდილების გაანალიზებისას, საუკეთესო პრაქტიკა მიუთითებს, რომ **მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების განვითარება მხოლოდ ერთი მიმართულებით არ არის საკმარისი ძალადობრივი გარემოს შეცვლისთვის**, მაგ., შოტლანდიაში პროგრამა მოიცავს ერთდროულად სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს - მოძალადის, მსხვერპლის და ბავშვის კომპონენტებს. ავსტრალიური მოდელი გულისხმობს სხვადასხვა უწყების კოორდინირებულ მუშაობას და ადრეულ ეტაპზე მოძალადეების პროგრამაში ჩართვის მოტივაციის გაზრდას. ესპანური გამოცდილება მიმართულია პენიტენციურ და პრობაციის დაწესებულებებზე და ძალადობის ფაქტების მონაცემთა ბაზის შექმნაზე. პოლონური გამოცდილება ეყრდნობა **მუნიციპალიტეტების როლის გაძლიერებას**, პროგრამის გაფართოების და ბენეფიციარების ნებაყოფლობით მოზიდვის მიზნით. ქართულ რეალობაში შეიძლება მაგ., ერთგვარ „ჩარჩოდ“ გამოვიყენოთ მედიატორის როლი, რომელიც კრიზისულ ოჯახებთან იწყებს მუშაობას კონფლიქტის დროს (სასამართლო დავის შემთხვევაში) და სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით „ირიბი გზით“ მიჰყავს მედიაციის მხარეები პრობლემის გაცნობიერებამდე.

¹ სახალხო დამცველის ანგარიში, 2019, გვ.196, ხელმისაწვდომია - <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

მონიტორინგის ანგარიშმა გამოავლინა, რომ ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები, ძირითადად, დაიყვანება სამ მახასიათებელზე: ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სოციო-კულტურული, რომლებიც მოიცავს ტრავმულ გამოცდილებას, გაბატონებულ სტერეოტიპებს, დაბალ ეკონომიკურ შესაძლებლობას, ნივთიერებასა და აზარტულ თამაშზე დამოკიდებულებას და ა.შ. კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობა მოძალადის ქცევის შეცვლის შესაძლებლობას უფრო პოზიტიურად აღიქვამს, რადგან მისი ქცევა დასწავლილია და დაკავშირებულია ფსიქო-სოციო-კულტურულ ფაქტორებთან (კოგნიტურ-ბიჰევიორული მიდგომა). შესაბამისად, მკაფიოდ ხედავენ ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის განვითარების საჭიროებასაც. მოძალადის ქცევის შეცვლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები პროგრამაში ფსიქოლოგის და ადიქციის (დამოკიდებულების) სპეციალისტის ჩართულობაა. თუმცა მოსახლეობის მზაობა მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის „მისაღებად“ სუსტია, მიუხედავად იმისა, რომ კარგად აცნობიერებენ ძალადობის მსხვერპლის უსაფრთხოების ურთიერთკავშირს ქცევის კორექციის პროგრამაში მოძალადის ჩართვასთან. აღნიშნული აიხსნება ისევ ინფორმაციის ნაკლებობით, შესაბამისი პოლიტიკის არარსებობით და გამყარებულია სტერეოტიპებით. შესაბამისად, პროგრამაში მოძალადეების მხოლოდ ნებაყოფლობითი ჩართვა ვერ იქნება პრიორიტეტული, მანდატორული ან კომბინირებული მიდგომის გარეშე, პროგრამის სანყის ეტაპზე მაინც.

კვლევაში გამოიკვეთა განსხვავებული მოსაზრებები, თუ როგორი უნდა იყოს თავად ქცევის კორექციის პროგრამა - განსაკუთრებით ხაზგასმულია ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის, ასევე ჯგუფური და ინდივიდუალური და ოჯახური თერაპიის პოზიტიური როლი.

კვლევის მონაცემების მიხედვით, არაიდენტიფიცირებული მოძალადეების პროგრამაში ადრეულ ეტაპზე ჩართვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის მოსახლეობის მეტი ინფორმირება; სკოლებში, ძალადობის პრევენციის მიზნით, ბიჭებთან, განსაკუთრებით, ასოციალურ ბიჭებთან მუშაობა და ამ პროცესში ფსიქოლოგის როლის გაძლიერება; ინტერესთა ჯგუფთან აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის (ყველა ეტაპზე, მონიტორინგის ჩათვლით), როგორც საერთაშორისო გამოცდილება და წინამდებარე კვლევის მონაცემები აჩვენებს, მნიშვნელოვანია მულტისექტორული თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებების და ფუნქციების გადანაწილებას სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო/კერძო უწყებას შორის მაგ., სახელმწიფოს „ქოლგის ქვეშ“ არსებული უწყების ან/და შესაბამისი პროფესიული დაწესებულების რესურსის გამოყენებით (აუტოსორსინგი).

მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის ეფექტიანობა გაიზრდება, თუ იგი უფრო მეტად იქნება მიმართული პრევენციაზე, რაც გულისხმობს, მაგ.: არაიდენტიფიცირებული მოძალადეების გამოვლენასა და ინტეგრირებას ქცევის კორექციის პროგრამაში, სკოლებში ძალადობრივი ქცევის მქონე მოზარდებთან მუშაობას და ა.შ. ეს კი შესაძლე-

ბელია კრიზისულ ოჯახებთან მუშაობის გაძლიერებით და მოძალადის და მსხვერპლის რეაბილიტაციის პროგრამების ერთობლივად ამოქმედებით.

მონიტორინგის მიგნებების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები მიმართულია სხვადასხვა უწყებისადმი და მოიცავს: პანდემიის გათვალისწინებით, ადრეულ ეტაპზე მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამის ონლაინ მოდულის დანერგვის საჭიროებას; მუნიციპალიტეტების ბაზაზე შესაბამისი კრიზისული ცენტრების შექმნის აუცილებლობას, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის მეშვეობით განახორციელებს ადრეულ ეტაპზე მოძალადებთან/პოტენციურ მოძალადებთან მუშაობას; პროგრამის გაფართოების და მოძალადეების ფართო კატეგორიის ინტეგრირების მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების საჭიროებას სხვადასხვა უწყებას შორის; მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას; ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოებას და ხელშეწყობას; ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის დახვეწას - სტრუქტურის, პროგრამის მოდულების, ბენეფიციარების განსაზღვრის კრიტერიუმის, სერვისის მიმწოდებელთა პროფესიული განვითარების და ა.შ. კუთხით; რეფერირების კრიტერიუმების და რეფერირების კოორდინაციის მექანიზმების გადახედვას და ა.შ.

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა დიდი ხანია აღიარებულია ადამიანის უფლებების დარღვევად (გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ - 1979 წ.) და მიჩნეულია მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად სოციალური და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით (ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეა - 1996 წ.). ძალადობრივი ურთიერთობები ყოველთვის გულისხმობს ბალანსის დარღვევას ძალაუფლებასა და კონტროლის მექანიზმებს შორის. ქალთა მიმართ ძალადობას განიხილავენ სამი მიმართულებით: ინდივიდუალური (ინდივიდის ფსიქოლოგია); ოჯახური და სხვა სახის ურთიერთობები (მაგ., სოციალიზაცია, აღზრდა და ა.შ.) და სოციო-კულტურული (რომელიც დაკავშირებულია ძალაუფლებასთან)².

ოჯახში ძალადობა აღიარებულია, როგორც ძალადობა ოჯახის წევრის მიმართ, რომელიც ატარებს იძულებით, მაკონტროლებელ, მუქარის ხასიათს. აღნიშნული პრობლემა კომპლექსურია და უმეტესად მიმართულია ქალებისა და ბავშვებისადმი და ხშირად არც კი მსჯელობენ მამაკაცების „როლზე“, რადგან მიჩნეულია, რომ სწორედ იგია მოძალადე. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო ღონისძიებების მხოლოდ ქალების მიმართ განხორციელება არ არის გამოსავალი, საჭიროა მამაკაცების ჩართვა და გათვალისწინება სხვადასხვა ინტერვენციაში და ოჯახში ძალადობის პრობლემის და მისი პრევენციის თუ აღკვეთის ღონისძიებების ხელახალი გააზრება და კონცეპტუალურად ახალი მიდგომების დანერგვა.³

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი წევრი სახელმწიფოებისთვის აწესებს მოთხოვნას და ავალდებულებს მათ, განახორციელონ ინვესტირება ოჯახში მოძალადე პირებისადმი მიმართულ პროგრამებში^{4,5}. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სტამბოლის კონვენციის პრინციპზე დაფუძნებული მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამები უნდა ფოკუსირდებოდეს მოძალადის მიერ არაძალადობრივი ქცევის დასწავლაზე, რაც სამომავლოდ გამოიწვევს ძალადობრივი ქცევის

2 Treatment Programs for Perpetrators of Domestic Violence: European and International Approaches Alessandra Chiurazzi Caterina Arcidiacono Susana Helm Caterina Arcidiacono. NEW MALE STUDIES: AN INTERNATIONAL JOURNAL ~ ISSN 1839-7816 ~ VOL. 4, ISSUE 3, 2015 PP. 5-22 © 2015 AUSTRALIAN INSTITUTE OF MALE HEALTH AND STUDIES გვ.7

3 იქვე, გვ. 6

4 პროგრამები ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის: სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი ევროპის საბჭოს კონვენციის - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ნაშრომთა კრებული, ევროპის საბჭო, 2014 წლის სექტემბერი, დაბეჭდილია ევროპის საბჭოში. გვ. 6-8. ხელმისაწვდომია - <https://rm.coe.int/-/16808d24c3>

5 EUROPEAN PERPETRATOR PROGRAMMES: A SURVEY ON DAY-TO-DAY OUTCOME MEASUREMENT. Research gate. Oriol Gines Canales, Heinrich Geldschlager, David Nax, Alvaro Ponce. STUDIA HUMANISTYCZNE AGH. Tom 14/2 • 2015. p.34 ხელმისაწვდომია - <https://www.researchgate.net/publication/283805963>

სტრუქტურის ცვლილებას და მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ძალადობის პრევენციაზე⁶.

მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ პრობლემებს განაპირობებს მიდგომა, რომ ოჯახური ძალადობის საკითხი, ძირითადად, დაკავშირებულია მსხვერპლთან და, შესაბამისად, ინტერვენციები და საკანონმდებლო ინიციატივები უნდა განხორციელდეს ამ მიმართულებით. შედეგად ვიღებთ, რომ მაგ., აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების არასაკმარისი რაოდენობაა; ასევე აღინიშნება სისტემური მიდგომის ხარვეზები (რაც დაკავშირებულია ინტერსექტორულ და მულტისექტორულ მუშაობასთან).

ამას გარდა, მსოფლიოში არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ მოძალადესთან მუშაობა, შესაბამისი ქცევის კორექციის პროგრამების გამოყენებით, გაცილებით ეფექტიანია ძალადობის საწყის ეტაპზე, ხოლო მისი გამოყენება გვიან ეტაპზე (რეციდივის დონეზე) მხოლოდ 5%-ით ამცირებს ძალადობის შემთხვევებს.⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა მუშაობის გაღრმავება ორი მიმართულებით (რომელთა საბოლოო ფოკუსი სასურველია იყოს **მოძალადებთან ადრეული მუშაობის დანხების კანონით დარეგულირებული პრაქტიკა**): (i) საზოგადოებრივი დისკურსის შეცვლა, რაც ეფუძნება, პირველ რიგში, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი მუშაობისთვის ანგარიშვალდებული, კოორდინირებული სისტემების შექმნას, რომელიც მოიცავს მოძალადებთან მუშაობას; (ii) მეტ კონცენტრირებას მოძალადე მამაკაცებზე და არა მხოლოდ მსხვერპლ ქალებზე; ასევე არამოძალადე მამაკაცებზე, რომლებმაც მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით⁸.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების დანერგვის საკითხზე დაინტერესებულ პირთა დამოკიდებულების შესწავლა, არსებული საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა და აღნიშნული თემის ირგვლივ აქტიური დისკუსიების წამოწყება, შესაბამისი პროგრამის საკანონმდებლო დარეგულირების და პრაქტიკაში ამოქმედების ხელშეწყობის მიზნით.

6 იქვე, გვ. 34

7 Eckhardt, Christopher I., Christopher Murphy, Danielle Black, and Laura Suhr. "Intervention Programs for Perpetrators of Intimate Partner Violence: Conclusions from A Clinical Research Perspective." Public health reports 121, no. 4 (2006): გვ. 369-381;

Batterer intervention programmes: A meta-analytic review of effectiveness. Esther Arias¹, Ramón Arce Fernández¹, Manuel Vilariño Vázquez¹¹ Univ. Santiago de Compostela, Dep. Psicología Social, Básica y Metodología, España. გვ. 154, ხელმისაწვდომია - <https://journals.copmadrid.org/pi/art/in2013a18>.

8 Work with Perpetrators of Domestic Violence in Eastern European and Baltic countries/Katarzyna Wojnicka. August 2015, გვ. 42, ხელმისაწვდომია - https://www.researchgate.net/publication/280934295_Work_with_Perpetrators_of_Domestic_Violence_in_Eastern_European_and_Baltic_countries

მეთოდოლოგია

გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები:

თვისებრივი კვლევა: სამაგიდე კვლევა (desk research) სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების მიხედვით (კვლევები, ანგარიშები, სტატიები, და ა.შ.). **9 ჯგუფური დისკუსია და 25 ჩაღრმავებული ინტერვიუ.** ჩატარების ადგილები - ქუთაისი, ზუგდიდი, ხონი, წყალტუბო. **ფოკუს-ჯგუფების შემადგენლობა:** ქალები, მამაკაცები და შერეული ჯგუფი. **ჩაღრმავებული ინტერვიუების შემადგენლობა:** სოციალური მუშაკი, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ქუთაისის კრიზისული ცენტრის და თავშესაფრის ფსიქოლოგი, თავშესაფრის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, მსჯავრდებული მოძალადეები, ძალადობის მსხვერპლები, შსს-ს წარმომადგენლები, ექსპერტები.

რაოდენობრივი კვლევა: სულ გამოკითხულია 582 რესპონდენტი 10 რეგიონში:

ცხრილი № 1

№	ქალაქი	რესპონდენტების რაოდენობა
1.	ვანი	51
2.	ბაღდათი	52
3.	სენაკი	50
4.	ტყიბული	57
5.	სამტრედია	117
6.	თერჯოლა	52
7.	ჩოხატაური	51
8.	ქობულეთი	47
9.	წალენჯიხა	51
10.	ზუგდიდი	54

საკითხის კონდექსტი

ევროპის ქვეყნებში მოძალადესთან მუშაობის პრინციპებსა და მიდგომებს განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, კულტურული სტერეოტიპები, ისტორიული კონტექსტი და ა.შ.⁹

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მრავალი პროგრამა მოქმედებს ოჯახში ძალადობის/გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უწყობს მამაკაცების ჩართულობას და მათ მოტივირებას პროგრამებში ინტეგრაციისთვის, მაგ., „Boys and Men for Gender Equality“ (ბიჭები და კაცები - გენდერული თანასწორობისთვის), „He for She“ (კაცი - ქალისთვის), „The white Ribbon campaign“ (თეთრი ლენტის კამპანია) და ა.შ. აღნიშნული პროგრამების ძირითადი მიზანია ინფორმირება, განათლება და არაძალადობრივი კულტურის დანერგვის ხელშეწყობა/განვითარება.

დასავლეთ ევროპაში, აშშ-სა და ავსტრალიაში მოქმედი მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამები ორიენტირებულია მოძალადე მამაკაცებზე, რომლებიც პროგრამის ბენეფიციარები ხდებიან როგორც ნებაყოფლობით, ასევე სხვადასხვა უწყებიდან რეფერირების გზით - მაგ.: სასამართლო, პოლიცია, სოციალური მომსახურების სააგენტო, ყოფილი ან ამჟამინდელი პარტნიორის მიერ ინფორმაციის მიწოდება და ა.შ. ამას გარდა, არსებობს პროგრამები, რომლებიც მუშაობენ ძალადობის მსხვერპლ მამაკაცებთან¹⁰.

რაც შეეხება თავად პროგრამებს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ისინი ხორციელდება 4 ძირითადი მიმართულებით: **სამკურნალო პროგრამები ციხეში; პრობაციონერთა ქცევის კორექციის პროგრამები; პროგრამები, რომლებიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ორგანიზაციების მიერ, რომელთაც გააჩნიათ კავშირი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან; პროგრამები, რომლებიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ორგანიზაციების მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ კავშირი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან (ძირითადად, ოჯახში მოძალადეებთან ადრეულ ეტაპზე მუშაობა)**¹¹.

9 იქვე, გვ 38-41

10 Treatment Programs for Perpetrators of Domestic Violence: European and International Approaches Alessandra Chiurazzi Caterina Arcidiacono Susana Helm Caterina Arcidiacono. NEW MALE STUDIES: AN INTERNATIONAL JOURNAL ~ ISSN 1839-7816 ~ VOL. 4, ISSUE 3, 2015 PP. 5-22 © 2015 AUSTRALIAN INSTITUTE OF MALE HEALTH AND STUDIES. გვ. 8, ხელმისაწვდომია - <https://vidacs.eu/Documenti/Ending-Intimate-Partner-Violence.pdf>

11 პროგრამები ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის წამდენ პირთათვის: სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი ევროპის საბჭოს კონვენციის - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ნაშრომთა კრებული. ევროპის საბჭო, 2014 წლის სექტემბერი, დაბეჭდილია ევროპის საბჭოში, გვ. 9, ხელმისაწვდომია - <https://rm.coe.int/-16/16808d24c3>

თუმცა ზოგიერთი, მაგ., აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ძალადობრივი ქცევის კორექციასთან დაკავშირებული პროგრამების ისტორია შედარებით ხანმოკლეა და, აქედან გამომდინარე, თავს იჩენს მთელი რიგი **ბარიერები**, რომლებიც ხელს უშლის მოძალადის ქცევის პროგრამების სრულფასოვან ფუნქციონირებას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, რუმინეთი) ქცევის კორექციის პროგრამების მეტა-ანალიზის შედეგების მიხედვით, მოძალადის ქცევის კორექციაზე ორიენტირებული პროგრამების ბარიერები დაკავშირებულია:

- პოსტკომუნისტურ წარსულთან და სამოქალაქო საზოგადოების არსებობის, ევროკავშირში განვერძინების და გენდერული პოლიტიკის წარმოების შედარებით ხანმოკლე პერიოდთან.
- მნიშვნელოვანია ურთიერდაკავშირებული ეკონომიკური (არასაკმარისი ფინანსები სამოქალაქო ორგანიზაციების განვითარებისთვის) და სამართლებრივი ფაქტორები. მაგ., ძალადობის მსხვერპლისათვის განკუთვნილი სოციალური სერვისების ნაკლებობა (რაც, მათ შორის, დაკავშირებულია არასაკმარისი ფინანსებთან) კანონის განხორციელებას უშლის ხელს და არც მსხვერპლები არიან დაცული შემდგომი ძალადობისგან.
- უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთსა და ბულგარეთში მოძალადეებისადმი მიმართული პროგრამები თავდაპირველად დააფუძნეს ფემინისტურმა/მსხვერპლის მომსახურებაზე ორიენტირებულმა ორგანიზაციებმა და დააფიქსირეს, რომ **ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლა მხოლოდ მსხვერპლის პრიზმიდან არ უნდა ხდებოდეს, ვინაიდან ამგვარი მიდგომა ამცირებს სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციების რაოდენობას და ეფექტიანობას** (რადგან ისინი ხორციელდება სიტუაციურად - ძალადობის განხორციელების მომენტის შესაბამისად და არ ატარებს სისტემურ ხასიათს), **არამედ გასათვალისწინებელია მამაკაცის „ფაქტორი“** (ოჯახური ძალადობის შემთხვევების 90% მამაკაცების მიერ ხორციელდება)¹². ამგვარი მიდგომა კი ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის უფრო ეფექტიან განხორციელებას, ვინაიდან არაერთი კვლევა და მოძალადის ქცევის კორექციის არსებული პროგრამების ანალიზი ადასტურებს, რომ საუკეთესო შედეგი მიიღწევა „მრავალმხრივი“ მიდგომის განხორციელებით - ინტერ - (სექტორში არსებულ სერვისებს შორის) და ინტრასექტორული (სერვისებსა და სხვადასხვა უწყებას შორის) თანამშრომლობით¹³.

12 Work with Perpetrators of Domestic Violence in Eastern European and Baltic countries / Katarzyna Wojnicka. August 2015. გვ. 38-41

13 Probation and prison based programmes for perpetrators of domestic and sexual violence: a European overview. WWP EN Expert Paper | European probation and prison based programmes for perpetrators of domestic and sexual violence. გვ. 3, ხელმისაწვდომია - https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Expert%20Essays/Expert_paper_prison_and_probation_final.pdf

- პრობაციასთან და ციხესთან დაკავშირებული ქცევის კორექციის პროგრამების განხორციელება არსებით გამოწვევებთან არის დაკავშირებული სტამბოლის კონვენციის სტანდარტების დაკმაყოფილების თვალსაზრისით¹⁴, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად მნიშვნელოვანია ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამების ამოქმედება ჯერ კიდევ დამცავი/შემაკავებელი ორდერის გამოცემისთანავე, ძალადობის შემთხვევების ადრეულ ეტაპზე.

მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის დანერგვის სამართლებრივი ვალდებულებები – სიტუაცია საქართველოში

2011 წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის განკარგულება ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ¹⁵, რომლის მიზანია მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება (სავალდებულო სწავლების კურსის ჩათვლით), მათი დანერგვისა და გატარების ხელშეწყობა, მათ შორის იმ პირებისათვის, რომლებიც ოჯახში ძალადობის ბრალდებით სასჯელს იხდიან, ან იმყოფებიან პირობითი მსჯავრის ქვეშ. აღნიშნულ კონცეფციას მოჰყვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში (სსკ), რომელიც ითვალისწინებს ოჯახში დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას. სსკ 65-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია იმავე კოდექსის 168-ე პრიმა მუხლით, ოჯახში ძალადობის ბრალდებით ყველა მსჯავრდებულს დააკისროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.¹⁶

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით გატარებულ მთელ რიგ ცვლილებებთან ერთად, გათვალისწინებულია ძალადობის პრევენციის ხელშეწყობად, მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება.¹⁷ აღნიშნული კანონის მე-20 მუხლი უშუალოდ განსაზღვრავს კონკრეტულ ღონისძიებებს, რაც ითვალისწინებს მოძალადის მიერ ძალადობრივი ქცევის შეცვლისა და მისი ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ძალადობის განმეორების თავიდან აცილება და მსხვერპლის უსაფრთხო-

¹⁴ იქვე, გვ. 12

¹⁵ საქართველოს მთავრობის განკარგულება №55, ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ, 2011 წლის, იანვარი 13, ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2350710?publication=0>

¹⁶ სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე და 168-ე პრიმა მუხლები, ხელმისაწვდომია - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=238>

¹⁷ საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მ.6.3ზ. ხელმისაწვდომია - <https://www.matsne.gov.ge/document/view/26422?publication=18>

ების უზრუნველყოფა, მოძალადის მიერ ძალადობრივ ქცევასა და მის შედეგებზე პასუხისმგებლობის აღიარება, აგრეთვე მის დამოკიდებულებებსა და ქცევაში მიღწეული დადებითი ცვლილებების შენარჩუნება. საამისოდ, კანონში განსაზღვრულია მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.¹⁸ აღნიშნული მუხლის თანახმად, „მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“. თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ დღემდე არ არის მიღებული დადგენილება, რომელიც დამცავ ორდერში მოძალადის ძალადობრივი ქცევის კორექციაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის გავლის საკითხს მოაწესრიგებდა.

2016 წელს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს მიერ შემუშავდა „ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა, გენდერული ძალადობა“, რომელიც მიზნად ისახავდა ძალადობრივი ქცევის რეციდივების პრევენციას, ე.ი. პროგრამა ხელს შეუწყობდა პირობით მსჯავრდებულებს (რომლებსაც ახასიათებთ ძალადობრივი ქმედებები) ძალადობრივი ქცევების გაცნობიერებასა და დაძლევაში, ახალი უნარ-ჩვევების შეძენაში, კონფლიქტების მართვასა და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

2017 წელს დამტკიცდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის (გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისია) მიერ შემუშავებული 2017-2021 წლების ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ერთიანი ეროვნული საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. 2018-2019 წლებში შეიქმნა მსჯავრდებულებისთვის „მოძალადეთა ქცევის კორექციის ერთიანი პროგრამა“, რომელიც პილოტირდა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ პირობით მსჯავრდებულთა ჩართულობით და პენიტენციურ დაწესებულებებში.¹⁹

18 იქვე, მ.20

19 საქართველოს პარლამენტი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, 2-7618/20 13-07-2020. გვ. 9, ხელმისაწვდომია - <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/257853>. თუ 2017 წელს ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩაერთო და სრულიად გაიარა 67-მა პირმა, ხოლო ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ტრენინგი გაიარა 21-მა პრობაციონერმა, 2018 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა და შეადგინა 117 მსჯავრდებული და 240 პრობაციონერი. ბენეფიციართა რაოდენობის მცირედი ზრდა შეინიშნებოდა ასევე 2019 წელს - ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი გაიარა 125-მა პირობით მსჯავრდებულმა, ხოლო ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ტრენინგი - 30 პირობითმა მსჯავრდებულმა. 2018-2019 წლებში, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემისთვის განახლდა, ხოლო პენიტენციური სისტემისთვის შეიქმნა ერთობლივი „მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამა“. 2019 წელს მოხდა პროგრამის პილოტირება - N16 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში, „მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამაში“ ჩართული იყო 10 ბენეფიციარი.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიში, გვ. 4, ხელმისაწვდომია - <http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/3660EVAW%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%982018.pdf>

მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების შემუშავების და განხორციელების მიუხედავად, დღეს კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ისეთი სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება და ამოქმედება, რომლებიც მიმართულია ადრეულ ეტაპზე იმ მოძალადეების ძალადობრივი ქცევის შეცვლის და ფსიქოლოგიურ-სოციალური დახმარებისკენ, რომელთა მიმართ დამცავი ან შემაკავებელი ორდერია გამოწერილი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის 2018 წლის ანგარიშში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აუცილებელია განხორციელდეს ქცევის კორექციის პროგრამები მოძალადეთა აღნიშნული კატეგორიისათვის.²⁰

საქართველოს სახალხო დამცველი 2018, 2019, 2020 წლების საპარლამენტო ანგარიშში მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამებთან დაკავშირებით კვლავ პრობლემად მიიჩნევს მოძალადისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას და კურსის არასავალდებულო ხასიათს და უკვე დანერგილი ქცევის კორექციის პროგრამების შეფასებითი კვლევის არარსებობას²¹, მაშინ, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების არაერთი შეფასებითი ანგარიში/კვლევა და მეტა-ანალიზი არის ხელმისაწვდომი.

გარდა ამისა, 2019 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ მოძალადის ქცევის კორექციის კანონით გათვალისწინებული კურსების პრაქტიკაში დანერგვის დაგვიანება ამცირებს ძალადობის პრევენციის ღონისძიებების პროდუქტიულობას²² და უთითებს უწყებათაშორისი კომისიის მიერ ქცევის კორექციის კურსებზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრის და მისი დროული დანერგვის აუცილებლობაზე.

1. საუკეთესო პრაქტიკა

ევროპაში მოქმედი მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამები, ძირითადად, მიმართულია პრობაციონერებსა და პატიმრებზე, თუმცა არსებობს კვლევები, სადაც საუბარია პროგრამებში ნებაყოფლობითი ჩართვის უპირატესობაზე (ადრეულ ეტაპზე). პროგრამების პროვაიდერებს წარმოადგენენ სახელმწიფო ინსტიტუტები (მაგ., იუსტიციის სამინისტრო, რომელიც წარმართავს და აფინანსებს პროცესს სრულად) ან სა-

20 ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია - პრობლემები და გამოწვევები, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2018 წ., გვ. 14, ხელმისაწვდომია - <http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcprep2018/angarishi-%20qalta%20mimart%20zaladoba-qart.pdf>

21 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წ., გვ.133, ხელმისაწვდომია - <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>

სახალხო დამცველის ანგარიში, 201, გვ.196, ხელმისაწვდომია - <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>; სახალხო დამცველის ანგარიში, 2020, გვ. 202, ხელმისაწვდომია - <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>

22 სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“, 2019, გვ. 7, 21, 42, ხელმისაწვდომია - https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2019/ojaxuri_dzaladobis_efeqtianobis_auditis_angarishi.pdf

მოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ან ორივე ერთად (მაგ., სსო არის სერვისის მიმწოდებელი, ხოლო სახელმწიფო ინსტიტუტი ახორციელებს პროგრამის დაფინანსებასა და ზედამხედველობას სრულად - შვედეთი, ესპანეთი, ინგლისი, უელსი ან შეზღუდულად - დანია). ცხადია, რომ რაც მეტია პროგრამის ბენეფიციართა - ძალადობის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მით მეტ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს საჭიროებს პროგრამა და მით უფრო მეტი უწყების თანამშრომლობა ხდება საჭირო.

სტრუქტურის თვალსაზრისით, საინტერესოა **შოტლანდიის გამოცდილება**, სადაც მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის მოდელი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ ნაწილს: პროგრამა მამაკაცებისათვის, ქალების სერვისი და ბავშვების (როგორც ოჯახური კონფლიქტის ძირითადი დაზარალებულის) სერვისი^{23,24}. აღნიშნული მაგალითი კომპლექსური მიდგომის საჭიროების დადასტურებაა, რომ **ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ერთი მიმართულებით არ არის საკმარისი**.

ავსტრალიის გამოცდილება: 2015 წელს ქცევის კორექციის პროგრამა დაინერგა ოთხ ლოკაციაზე, რომლის შეფასება განხორციელდა 2017-19 წწ. პროგრამის მიზნებს წარმოადგენდა: ქალების და ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სხვადასხვა უწყების კოორდინირებული მუშაობა ძალადობაზე სისტემური რეაგირებისათვის; მამაკაცებისთვის ახალი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც შეცვლის მათ ძალადობრივ ქცევას; ბენეფიციარების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისის მიწოდება. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენდა 12-32 კვირას და შედგებოდა 4 მოდულისაგან. სესიის ხანგრძლივობა - 2-4 სთ. ყველა პროგრამას ჰქონდა „ღია ჯგუფები“, სადაც მოძალადეს პროგრამაში ჩართვა შეეძლო ნებისმიერი მოდულის სანყის ეტაპზე. სერვისის მიმწოდებლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული მიდგომა შესაძლებლობას აძლევდა ახალ ბენეფიციარებს, ნებისმიერ მოდულში ჩართულიყვნენ იმ პირებთან ერთად, ვისაც უკვე ჰქონდა გავლილი რომელიმე სხვა მოდული და რომლისგანაც ჰქონდათ ინფორმაცია, რომ პროგრამაში ჩართვა მათთვის უსაფრთხოა და პრობლემას არ წარმოადგენს (ე.წ. თანასწორთა გავლენა). აღნიშნულმა ფაქტორმა გაზარდა ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართულობის მაჩვენებელი. პროგრამის დასრულების შემდგომ მოძალადე მამაკაცების (ყოფილი) პარტნიორები მიუთითებდნენ კომუნიკაციის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზე²⁵. ამას გარდა, სერვისების მიმწოდებლების მიერ ადრეულ ეტაპზე ქცევის კორექციის პროგრამაში მოძალადეების ჩართვის მხარდაჭერამ ხელი შეუწყო იმ ტიპის პროგრამების

23 Probation and prison based programs for perpetrators of domestic and sexual violence: a European overview. Expert paper by Sandra Jovanovic (OPNA). WWP / European Network, გვ. 4-11, ხელმისაწვდომია - https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Expert%20Essays/Expert_paper_prison_and_probation_final.pdf

24 Probation and prison based programmes for perpetrators of domestic and sexual violence: a European overview. WWP EN Expert Paper | European probation and prison based programmes for perpetrators of domestic and sexual violence, გვ. 14, ხელმისაწვდომია - https://www.work-with-perpetrators.eu/fileadmin/WWP_Network/redakteure/Expert%20Essays/Expert_paper_prison_and_probation_final.pdf

25 MEN'S BEHAVIOUR CHANGE PROGRAMS EVALUATION SUMMARY. P R E P A R E D B Y Research, Performance and Evaluation Women NSW, გვ. 3-6, ხელმისაწვდომია - https://www.women.nsw.gov.au/_data/assets/pdf_file/0011/777809/MBCP-Evaluation-Summary-Report.pdf

გაგრძელებას, რომლებშიც ბენეფიციარების მონაწილეობა ნებაყოფლობით ხორციელდებოდა. პროგრამის მდგრადობის და განვითარების უზრუნველსაყოფად მოხდა პარტნიორული შეთანხმებების გაფორმება (ურთიერთგაგების მემორანდუმი) სახელმწიფო უწყებებს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან ოჯახში ძალადობის საქმეებზე სერვისის მიწოდებაში.

ქუინსლენდში პროგრამები მაღალი დაფინანსებით გამოირჩევა - მაგ., განხორციელდა მოძალადის ქცევის კორექციასთან დაკავშირებული 24 მომსახურების ფინანსური ინტერვენცია. ამას გარდა, დაინერგა საპილოტე პროგრამა „Walking with Dads“ (გასეირნება მამებთან), რომელიც მიმართულია მოძალადე მამებთან მუშაობაზე და მათ მხარდაჭერაზე, რათა გააცნობიერონ საკუთარი ძალადობრივი ქცევის პასუხისმგებლობა და გავლენა დედებსა და ბავშვებზე და ფოკუსირებულია მათი, როგორც მამის/მშობლის, როლის გაძლიერებაზე და ჩართულობის უზრუნველყოფაზე. პროგრამა მიმართული იყო ძალადობის მაღალი რისკის ოჯახებისკენ და ითვალისწინებდა ბავშვისა და ოჯახის კეთილდღეობის სერვისების რეფორმირებას (reforming “child and family welfare services”).

ესპანეთის გამოცდილება: მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამები მრავალფეროვანია. ძირითადად, დაკავშირებულია პენიტენციურ დაწესებულებებთან (შემუშავდა 2001-2002 წწ.), რაც გამყარებულია ორგანული კანონით (LO 1/2004) - პენიტენციური დაწესებულებები შესაბამის ღონისძიებებს მიმართავენ გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევაში. 2004 წელს ფუნქციონირება დაიწყო პროგრამებმა, რომლებიც წარმოადგენდა პატიმრობის ალტერნატივას. 2010 წლიდან სახელმწიფომ განავითარა უფრო მკაფიო სტრატეგია და შემუშავდა პროგრამა „გენდერული ძალადობა: მოძალადეთა რეაბილიტაციის ინტერვენციული პროგრამა“ (PRIA). პროგრამის დაფარვის არეალი თითქმის მთელ ქვეყანას მოიცავს, საფუძვლად უდევს კოგნიტურ-ბიჰევიორული მიდგომა და შეადგენს 25 ჯგუფურ სესიას, 6 თვის განმავლობაში (ხანგრძლივობა: 2.5 სთ, კვირაში ერთხელ). პროგრამის შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ ის ბენეფიციარები, რომლებიც დადებითად აფასებდნენ პროგრამას, მისი დასრულების შემდგომ (80-85%) უფრო კმაყოფილნი იყვნენ საკუთარი ცხოვრებით. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, პროგრამის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს მამაკაცების რეზისტენტულობა/წინააღმდეგობა პროგრამაში ჩართვისადმი. **ამიტომ მნიშვნელოვანია ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ერთგვარი მოტივატორი იქნება პროგრამაში ჩართვისთვის.** ამისათვის სხვადასხვა ტიპის სტრატეგიები გამოიყენება, მაგ., მოძალადის დარწმუნება, რომ იგი შეძლებს საკუთარი ქცევის და აგრესიის კონტროლს და გაიუმჯობესებს განწყობას²⁶. აგრეთვე მნიშვნელოვანია მიდგომა, რომელიც აგებულია უსაფრთხოებაზე პოლიციის თანამშრომლების ჩართულობით, კერძოდ - ინტერნეტ პროგრამა, სადაც პოლიციის თანამშრომლებს შეაქვთ დეტალური ინფორმაცია ძალადობის ფაქტების და თავად მოძალადის შესახებ, რომლებსაც მათ მსხვერპლი ან მისი ახლობლები/ოჯახის წევრები აწვდიან. ამის შემდგომ პოლიცია ახდენს ზოგადი

26 Programas de rehabilitación para agresores en España: un elemento indispensable de las políticas de combate a la violencia de género. ხელმისაწვდომია - https://www.scielo.cl/scielo.php?script=sci_arttext&pid=S0718-33992015000100010

და ძალადობის განმეორების რისკების შეფასებას. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია და ხელს უწყობს სამართალდამცავ სტრუქტურებსა და სხვადასხვა, ოჯახში ძალადობის საკითხზე მომუშავე უწყებების ეფექტიან რეაგირებასა და ურთიერთშორის კომუნიკაციის დამყარებას. ამას გარდა, ხორციელდება საინფორმაციო კამპანია ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, მაგ., ბროშურა «*You are not alone*» (*შენ არ ხარ მარტო*), სადაც თავმოყრილია ინფორმაცია ყველა იმ ინტერვენციის შესახებ, რაც ხორციელდება ოჯახში ძალადობის მიმართულებით²⁷.

პოლონეთის გამოცდილება: პოლონეთში განხორციელებული ქცევის კორექციის პროგრამა ეფუძნება აშშ-ში დანერგილ ე.წ. დულუსის მოდელს, რომლის თანახმადაც, ძალადობრივი ქცევა დასწავლილია სოციალიზაციის შედეგად და, შესაბამისად, შესაძლებელია - გადაჩვევაც. პროგრამა იყენებს კოგნიტურ-ბიჰევიორულ მიდგომას. მოძალადეს შეუძლია გააკეთოს არჩევანი: სასჯელი მოიხადოს საპატიმროში, ან ჩაერთოს ქცევის მაკორექტირებელ პროგრამაში.

პროგრამაში მონაწილეობისთვის ორი მეთოდი არსებობს: **ნებაყოფლობით ჩართვა და პირდაპირი ან ირიბი იძულება, მაგ., თუ მოძალადემ ჩაიდინა დანაშაული** და დაისაჯა და/ან არ აქვს სხვა არჩევანი. სასჯელის აღსრულების შეჩერების მექანიზმის ამოქმედების დროსაც (როდესაც პირი არ იხდის სასჯელს საპატიმროში გარკვეული ვადით, თუმცა დამნაშავედაა ცნობილი), შესაძლებელია ძალადობის ჩამდენ პირს შესაბამისმა უწყებამ დააკისროს ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართვის ვალდებულება. პროგრამაში ნებაყოფლობით ჩასართავად ამოქმედებულია ე.წ. ცისფერი ბარათების სისტემა (დაინერგა 1998წ.). ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა ეფექტიანი ვერ იქნება ნებაყოფლობითი პროგრამების გაფართოების გარეშე. პროგრამაში ჩართვის აღნიშნული ორი მეთოდის შედარებაც აჩვენებს, რომ ნებაყოფლობითი პროგრამები ბევრად უფრო ეფექტიანია, რადგან ძალადობის ჩამდენი პირი საკუთარი სურვილით და ინიციატივით, ან სხვისი რჩევის საფუძველზე იღებს მონაწილეობას აღნიშნულ პროგრამებში, რაც გულისხმობს, რომ პირს აღიარებული აქვს პრობლემა და გაცნობიერებული პროგრამაში მონაწილეობის საჭიროება. მაშინ, როცა იძულებით პროგრამაში ჩართვა გამოიყენება მხოლოდ იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ან მიესაჯათ პირობითი მსჯავრი²⁸.

საგულისხმოა ქალაქ ოპოლეს (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც პოლონეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს) მაგალითი, სადაც გამოკვეთილია ადგილობრივი თვითმმართველობების როლი ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა ქცევის კორექციის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის მიმართულებით. 2011 წელს, ქალაქ ოპოლეს საკრებულოს გადანიშნულებით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ძალადობასთან ბრძოლის ინტერდისციპლინური გუნდი, რომელიც მიზნად ისა-

27 Integrated System of Monitoring Cases of Domestic Violence - Spanish experience. Publication edited by Marzena Kordaczuk-Wąs and Magdalena Putka. Warsaw 2011/2012. გვ. 8- 29; 53

28 „ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთან მუშაობის პროგრამები - პოლონეთის და საქართველოს გამოცდილება“, HumanDoc, Polish Aid, 2020, გვ. 8, ხელმისაწვდომია - <http://humandoc.ge/wp-content/uploads/2021/02/ოჯახში-ძალადობის-ჩამდენ-პირთან-მუშაობა.pdf>.

ხავდა ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამოქმედო გეგმის და პროგრამის შედგენას და მოძალადეების მოტივაციის ამაღლებას, ქცევის კორექციის პროგრამებში ჩართვის მიზნით. შედეგად, ბოლო რვა წლის განმავლობაში ოთხჯერ გაიზარდა დახმარების მიმღებთა რაოდენობა და ასევე ცისფერი ბარათის მიმღებთა (ე.ი. პროგრამაში ნებაყოფლობით ჩართული პირების) რიცხვი.

მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამას 3 კატეგორიის ბენეფიციარი ჰყავს:

- „ოფიციალურ“ მოძალადეებად ცნობილი პირები - ვინც ჩაიდინა დანაშაული და საპატიმრო დაწესებულებაში იხდის სასჯელს, ან ვისაც მიესაჯა პირობითი სასჯელი;
- მოძალადეები, რომლებიც მკურნალობენ ნივთიერებაზე დამოკიდებულებას;
- პროგრამაში ნებაყოფლობით ჩართვის მსურველი პირები.

ქცევის კორექციის პროგრამაში მონაწილეობის სავალდებულო კურსი ტარდება პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო ნებაყოფლობით ჩართვის შემთხვევაში - ოჯახის დახმარების ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში. **სწორედ აღნიშნული ცენტრის თანამშრომლები წყვეტენ, თუ ვინ გახდება პროგრამის ბენეფიციარი. ამ შემთხვევაში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენენ სოციალური მუშაკები, რომლებიც სამუშაო ჯგუფებს უწევენ კოორდინირებას.**

ქცევის კორექციის პროგრამა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს:

პროგრამის ხანგრძლივობა: 60-120 სთ. **მეთოდები:** „პარტნიორი“, „ART“ (აგრესიის ჩანაცვლებითი ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავს აგრესიის, ბრაზის და არაადეკვატური ქცევის მქონე პირებთან მუშაობას), „ოჯახი“, „კომუნიკაცია ძალადობის გარეშე“ და გამოსავალზე ორიენტირებული ხანმოკლე თერაპია (SFBT) და განკუთვნილია მათთვის, ვინც ვერ უმკლავდება ბრაზს და აგრესიას. **ძირითადი მიზანი:** მოძალადის მიერ თვითკონტროლის დასწავლა, მსხვერპლის დადანაშაულების და ძალადობის გამართლების გზების ძიების შეწყვეტა. პროგრამა **ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმის მიუხედავად, თუ ვინ არის სერვისის მიმწოდებელი.** მნიშვნელოვანია, რომ ქცევის კორექციის პროგრამები არ ტარდებოდეს იმავე ადგილას, სადაც ხორციელდება ძალადობის მსხვერპლთა დახმარება (მაგ., დღის ცენტრი). **პროგრამის ეფექტიანობის შეფასება:** ხორციელდება ქცევის კორექციის პროგრამის დასრულების შემდგომ (3 წლის განმავლობაში, კანონის თანახმად), სხვადასხვა შეფასებითი კვლევის საფუძველზე - „კურსდამთავრებულის“ ქცევაზე დაკვირვების გზით. **პროგრამის გაგრძელება:** ფსიქოლოგიურ-თერაპიული პროგრამა (PPT) - ეფუძნება დამნაშავის ქცევაში არსებული დეფიციტის ფსიქოლოგიურ მიზეზებზე მუშაობას. ასეთი სახის პროგრამები ოპოლემში ხორციელდება 2018 წლიდან.²⁹

29 იგივე გვ. 10

ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება ქალაქ ოპოლეს ადმინისტრაციის მიერ, თბილისი, დეკემბერი, 2020, ხელმისაწვდომია - <http://humandoc.ge/wp-content/uploads/2021/02/prezentacja-leszczy%C5%84ska.pdf>.

პოლონეთის პერსპექტივა და გამოცდილება ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის და ამოცანები მოძალადისთვის დახმარების კონტექსტში, ხელმისაწვდომია - www.humandoc.ge.

საქართველო

საოჯახო მედიაცია: ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის მოდელის განხილვისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის როლი, რასაც მედიაცია, კერძოდ კი საოჯახო მედიაცია ასრულებს. მედიაცია კონფლიქტების მოგვარების (დავის გადაჭრის) ალტერნატიული მეთოდია, რომლის დროსაც მიუკერძოებელი მხარე (მედიატორი) მოდავე მხარეებს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება. მედიაციის პროცესში ყურადღება ექცევა კონფლიქტის ემოციურ მხარეს, ე.ი. არასამართლებრივ საკითხებს, რომელთა გადაჭრა სასამართლოს გზით ხშირად შეუძლებელია. სწორედ „ემოციურ“ - ფსიქოლოგიურ მხარეზე აქცენტი უნდა იყოს ადრეულ ეტაპზე მოძალადეების აღმოჩენის, მათი ქცევის კორექციის პროგრამაში მოზიდვის და ჩართვის ერთ-ერთი საფუძველი და საშუალება. საქართველოში სასამართლო მედიაციისადმი მიმართვიანობა უფრო გავრცელებულია (კერძო მედიაციისადმი ფინანსური არახელმისაწვდომობის გამო). ჩვენთვის საინტერესოა თავად პროცესის სტრუქტურა: მხარეებს შორის დავის არსებობის შემთხვევაში საქმე გადაეცემა მედიაციის ცენტრს. მედიატორი ერთვება იმ დროს, როდესაც შესაძლოა უკვე შემდგარია ძალადობის ფაქტი (ფიზიკური, ფსიქოლოგიური), ან მოხდება მომავალში. მედიატორის საშუალებით მხარეები „ირიბად“ (მაგ., პროექციული და ა.შ. ტექნიკების გამოყენებით) მიდიან პრობლემის არსის გაცნობიერებამდე (ძალადობის პრობლემის იდენტიფიკაციამდე, რაც ძირითადი გამოწვევაა): მედიატორს არ აქვს უფლება, პირდაპირ ჩაერიოს გადანყვეტილების მიღების პროცესში, თუნდაც რჩევის სახით, თუმცა აძლევს მხარეს დაფიქრების და სიტუაციის გაანალიზების საშუალებას სპეციალური კითხვების გამოყენებით, რომლებიც ეხება დამდგარი ფაქტის წინაპირობებს, კონფლიქტის გადაჭრის ზომებს (მიმართა თუ არა რაიმე სახის ღონისძიებას, ან აპირებს თუ არა), მხარეების ინფორმირებულობას კონფლიქტის გადაჭრის გზების და საკუთარი უფლებების დაცვის თაობაზე. მედიატორი ფსიქოლოგის ფუნქციასაც ითავსებს (თუმცა რიგ შემთხვევებში ხდება ფსიქოლოგი მედიატორების ჩართვაც), რომელიც ასევე ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა ქცევის კორექციის პროგრამაში, განსაკუთრებით ადრეულ ეტაპზე. მედიატორი ერთობლივად და ცალ-ცალკე ხვდება კონფლიქტის მხარეებს და მათ ადვოკატებს. შეხვედრების დროც განსაზღვრულია: რამდენ დროსაც დაუთმობს ერთ მხარეს, ზუსტად იმდენივე დრო უნდა დაუთმოს მეორეს. ამას გარდა, თუ ერთ მხარეს არ აქვს რაიმე ინფორმაციის გამჟღავნების სურვილი მეორე მხარესთან, მედიატორს არ აქვს უფლება, აღნიშნული ინფორმაცია გაამჟღავნოს. მთავარი მიღწეული შედეგი განისაზღვრება თუ რამდენად ხდება პრობლემის გაცნობიერება, თვითიდენტიფიკაცია და რამდენად მყარია საკუთარ გადანყვეტილებაში ესა თუ ის მხარე. იმ შემთხვევაში, თუ მაგ., მედიაციის ერთ-ერთი მხარე ვერ ახდენს საკუთარი ქმედებების გაცნობიერებას/იდენტიფიცირებას, მანიპულირებს მეორე მხარით, ცალმხრივად მორიგება არ შედგება. მედიატორი სთავაზობს მუშაობის გაგრძელებას ან საქმის სასამართლოში დაბრუნებას.³⁰

30 ჩალრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი - ვეკო დოდაშვილი, მედიატორი, თბილისი

კრიზისულ ოჯახებთან მუშაობა: ქალთა ფონდი „სოხუმის“ გამოცდილება მოიცავს კრიზისულ ოჯახებში კონფლიქტების პრევენციაზე მუშაობას, ეს კი შეუძლებელია ადრეულ ეტაპზე ქცევის კორექციის გარეშე. კონფლიქტების და ძალადობის პრევენცია გულისხმობს რისკების და ძალადობის ფაქტების თანდათანობით გაცნობიერებას და პრობლემის აღიარებამდე მისვლას. კრიზისული ოჯახების იდენტიფიცირება ხდება სხვადასხვა გზით, მაგ.: მობილიზატორების საშუალებით; ფონდის ფსიქოლოგის და იურისტის მიერ, ქალებთან საინფორმაციო შეხვედრების დროს (პარტნიორის ჩართვა პროგრამაში ქალების მეშვეობით); საბავშვო ბალებთან და სკოლის პედაგოგებთან (მოსწავლესთან აღმოჩენილი პრობლემის შედეგად კრიზისული ოჯახების იდენტიფიცირება) და ახალგაზრდებთან შეხვედრებისას. ბენეფიციარებს ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი ოჯახები წარმოადგენდნენ, სადაც ჯერ არ იყო ძალადობის ფაქტი დაფიქსირებული, თუმცა წყვილი აღიარებდა დაძაბულობას და გაუგებრობას ურთიერთობაში. ასევე იყო კონფლიქტური ოჯახები, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც იყვნენ განქორწინების, სასამართლო დავის ეტაპზე და ა.შ. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ძირითად გამოწვევას მამაკაცების ჩართვა და მოზიდვა წარმოადგენს, შეხვედრების დროს საუბარი ირიბად ეხება ძალადობას და ძირითადი აქცენტი კეთდება ოჯახის გაძლიერებასა და კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე, კონფლიქტის რისკების ანულირებასა და ურთიერთობის სწორად წარმართვაზე. ეს კი ერთგვარი ხერხია/ტექნიკა, რომ მოძალადეებს (და მსხვერპლებსაც) მეტი მოტივაცია გაუჩნდეთ პროგრამაში ჩასართავად. რაც შეეხება მეთოდებსა და მიდგომებს, მათი შერჩევა ინდივიდუალურად (ცალკეული ქეისიდან გამომდინარე) ხდება. შესაძლებელია სანყის ეტაპზე მიმდინარეობდეს ჯგუფური მუშაობის ან ინდივიდუალური თერაპიის საშუალებით და გაგრძელდეს წყვილთა თერაპიით. კრიზისულ ოჯახებს მომსახურებას უწევენ როგორც ცალკეული სპეციალისტები, ასევე მულტიდისციპლინური გუნდი (ფსიქოლოგი, კონფლიქტოლოგი, იურისტი). არსებობს კონკრეტული მაგალითები, როდესაც მაგ., ქალების და მამაკაცების შერეულ ჯგუფში ერთობლივად განიხილებოდა ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლის შედეგადაც შესაძლოა მოძალადეს თავად მოეთხოვა ინდივიდუალური კონსულტაციების გაგრძელება. თუ ფსიქოლოგი ბავშვთან მუშაობისას აღმოაჩენდა, რომ პრობლემას წარმოადგენდა მშობლებს შორის ურთიერთობა, ბავშვის დახმარება შესაძლოა გამხდარიყო მოტივატორი, რომ დედის საშუალებით თერაპიაში ჩართულიყო მამა (მოძალადე). ასეთ შემთხვევაში, ოჯახთან მუშაობა მიმდინარეობდა სხვადასხვა სპეციალისტის მიერ პარალელურად (ფსიქოლოგი ბავშვთან მუშაობდა, კონფლიქტოლოგი - მშობლებთან). ფონდს აქვს წარმატებული მაგალითები, რომლებსაც „გადარჩენილ ოჯახებს“ უწოდებდნენ, ვინაიდან კონფლიქტის შედეგების რისკების გაანალიზება ნიშნავს გადარჩენილ ურთიერთობას (რაც ხდებოდა სწორედ მამაკაცების ჩართვის შემდეგ). კონფლიქტის დეესკალაციის და ძალადობის პრევენციის წარმატებულ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ წყვილის ცივილიზებული ფორმით (გამოხატული აგრესიის და კონფლიქტის გარეშე) დაშორების მაგალითებიც.

მონიტორინგის მიზნები

2. დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ

10 რეგიონში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემები მიგვანიშნებს, რომ ძალადობრივი ქცევა ჯერ კიდევ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. რაოდენობრივი კვლევის თანახმად, ოჯახში ძალადობის **გავრცელებული და აღიარებული ფორმებია**: ფსიქოლოგიური ძალადობა - 71.9% და ფიზიკური ძალადობა - 61.3%. მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აქვს ეკონომიკურ ძალადობას - 41.9% და სექსუალურ ძალადობას - 28.4%.

მონაცემების მიხედვით, როგორც მოსახლეობის, ასევე დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების დამოკიდებულება **ოჯახში ძალადობის და მისი გამომწვევი მიზეზების მიმართ, ძირითადად, დაიყვანება სამ მახასიათებელზე: ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და სოციო-კულტურული**. მაგ., ბავშვობის ტრავმული გამოცდილება (მოძალადე იყო ძალადობის და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი), რაც გამყარებულია კულტურული სტერეოტიპებით (მასკულინურ კულტურაში) და სამომავლოდ „ყოფილ“ მსხვერპლს აქცევს მოძალადედ, რომელსაც არ შეუძლია ქცევის და ბრახის კონტროლი. მნიშვნელოვანი ფაქტორია დამოკიდებულება **ნივთიერებაზე და აზარტულ თამაშზე - ლუდომანია** (რაც ფსიქოლოგიური - ტრავმული გამოცდილების კონტექსტში განიხილება): „ცალსახად ნივთიერებაზე დამოკიდებულება არ იწვევს ძალადობრივ ქმედებას... რატომ ცემს მეუღლეს?! იმიტომ კი არა, რომ მისი სანინააღმდეგო რამე აქვს, ის ამით თავისი სისუსტის გადაფარვას ცდილობს, რომ ვიღაც სხვა იყოს დამნაშავე მის წარუმატებლობაში“. - მაია ქამუშაძე იმერეთის განვითარების ცენტრი, სოციალური მუშაკი. ყოველივე ზემოაღნიშნული მჭიდროდაა გადაჯაჭვული ისეთ ფაქტორთან, როგორცაა **დაბალი ეკონომიკური შესაძლებლობა და განათლების დონე**. შესაბამისად, იქმნება ძალადობრივი გარემო, რომელიც იწვევს აღზრდის ძალადობრივი მეთოდის ფართო გავრცელებას და ახალი მოძალადეების „კვლავწარმოებას“: „შეიძლება, ბავშვობიდან იყოს ჩადებული ამ ქმედებების მაპროვოცირებელი ტრავმები... გარემო, რომელშიც არის ბავშვი, ასევე აღზრდის წესი... ადამიანები, რომლებიც ძალადობენ, თავად არიან სუსტი პიროვნებები, ეს ქმედება კი მათი სისუსტის გადასაფარად არის გამოყენებული“. - მამაკაცების ჯგუფური დისკუსია, ბაღდათი.

თვისებრივი მონაცემები გამყარებულია რაოდენობრივი კვლევის შედეგებით, სადაც ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებად **ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური ფაქტორები სახელდება**. ყველა საშუალო მაჩვენებელი მოქცეულია მაღალი შეფასების ველში (აღემატება „3“-ს, 5-ქულიან სკალაზე). თუმცა შედარებით გამოკვეთილია შემდეგი სამი: **ნივთიერებაზე დამოკიდებულება (საშუალო მაჩვენებელი=3.8), ეკონომიკური მდგომარეობა (საშუალო მაჩვენებელი=3.7), მოძალადის და/ან მსხვერპლის ფსიქოლოგიური პრობლემები** (მაგ.: არასრულფასოვნების კომპლექსი/დაბალი თვითშეფასება, თვითდამკვიდრების/დომინანტობის სურვილი, ადრეულ ასაკში განცდილი ძალა-

დობა, ბრაზის კონტროლის შეუძლებლობა და ა.შ. (საშუალო მაჩვენებელი=3.7). სქესის მიხედვით, ქრილში დაფიქსირდა ანალოგიური ტენდენციები.

შედეგად ვიღებთ მანკიერ წრეს, საიდან გამოსვლაც შესაძლებელია მხოლოდ ინსტიტუციურ დონეზე ჩამოყალიბებული და კარგად გათვლილი სისტემის/პროგრამის საშუალებით, რომლის მნიშვნელოვან ნაწილად, ძალადობის მსხვერპლების მხარდაჭერის პროგრამების გარდა, მოიაზრება ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამა.

„ბავშვობაში ძალადობაგამოვლილ პირებში არსებობს 40% რისკი, მომავალში გახდნენ აგრესორები. პოტენციური მოძალადეები იზრდებიან ძალადობრივ სოციუმში (ოჯახი, უბანი, სამეგობრო), სადაც აგრესიული ქცევა იმდენად ნორმალიზებულია, რომ ისინი ხშირად ვერც კი ხვდებიან, რომ ეს პრობლემაა“. - თამარ ბებია, ასოციაცია „მერკურის“ ფსიქოლოგი.

კულტურული სტერეოტიპები და აღზრდის ძალადობრივი მოდელები, რაც გარდა იმისა, რომ ძალადობრივი ქცევის ნამახალისებელია, ინვევენ: ა) მსხვერპლის მიჯაჭვულობას/შემგუებლობას მოძალადის მიმართ (ასოციაცია „მერკურის“ ფსიქოლოგი შედარებისთვის ახსენებს „სტოკჰოლმის სინდრომს“), რასაც ემატება ბ) საზოგადოების დაბალი მგრძობელობა ძალადობის მსხვერპლი ქალებისადმი, გ) ინფორმირების დაბალი დონე, მაგ., მამაკაცებმა ჯგუფური დისკუსიისას აღნიშნეს, რომ მსხვერპლმა ქალებმა ხშირად არ იციან, როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები, ან ვის მიმართონ; დ) ძალადობის მსხვერპლი ქალის მამაკაცზე ეკონომიკური დამოკიდებულება. აღნიშნული ფაქტორების გავლენით მსხვერპლს უყალიბდება დამოუკიდებლად გადწყვეტილების მიღების და ახალი ცხოვრების დაწყების შიში. იგივეს მოწმობს რაოდენობრივი კვლევის მონაცემებიც, როდესაც ძალადობის აღმოფხვრის ნამყვან ბარიერებად გამოკითხული მოსახლეობა ასახელებს ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს: უმუშევრობა/დაბალი ანაზღაურება (შემთხვევათა 56.7%); საცხოვრისის უქონლობა (ძალადობის მსხვერპლთან) (შემთხვევათა 48.8%); მიჯაჭვულობა/შეჩვევა მოძალადის (ან მსხვერპლის) მიმართ (შემთხვევათა 42.3%); ძალადობის მსხვერპლისთვის - ახალი ცხოვრების დაწყების შიში (შემთხვევათა 38.5%). ნიუანსური განსხვავებები გამოვლინდა სხვადასხვა ქრილის მიხედვით: მაგ., სქესის მიხედვით - მამაკაცებისა და უმუშევრებისთვის/სამუშაო ძალის გარეთ მყოფებისთვის ნამყვანი ფაქტორია საცხოვრისის უქონლობა (ძალადობის მსხვერპლთან); დევნილებთან/გამყოფ ხაზთან მცხოვრებლებთან - ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს მიჯაჭვულობას/შეჩვევას მოძალადის (ან მსხვერპლის) მიმართ.

როგორც უფლებადამცველი, ექსპერტი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე - გოგა ხატიაშვილი მიუთითებს, ყველაზე დიდ პრობლემას, ოჯახში ძალადობის ერთიან პრიზმაში - მსხვერპლსა და მოძალადესთან მუშაობის ერთიანი პოლიტიკის და პარალელური სერვისების არარსებობა წარმოადგენს. გარდა ამისა, ის ხაზს უსვამს მოძალადის მიმართ გამოყენებული სასჯელის ხანმოკლე ეფექტს და დროებით ხასიათს, რაც ვერ უზრუნველყოფს მსხვერპლის ეფექტიან დაცვას, მოძალადის თავისუფლებაზე აღმოჩენის შემდეგ: „მსხვერპლი მიმართავს დასახმარებლად სამართალდამცავ ორგანოებს... ხდება რეაგირება და შემდგომში, მოკლე პერიოდში, მოძალადე ისევ

ბრუნდება საზოგადოებაში და აღმოჩნდება, რომ მართლმასჯულებას ჰქონია ძალზე დროებითი ხასიათი და ისევ თავიდან იწყება ყველა იმ ინსტრუმენტის ჩართვა და გამოყენება, რაც მსხვერპლის დასაცავად არის აუცილებელი“. ეს ცხადყოფს, მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების დანერგვის და გაძლიერების აუცილებლობას.

ამას გარდა, ცალსახაა, რომ მოძალადის ქცევის კორექციის მიმართულებით არსებული პროგრამაც კი (მათ შორის, უკვე არსებული „მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამა“) იყო ფრაგმენტული, რადგან პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო იყო შეჩერებული³¹. გარდა ამისა, არ განხორციელებულა პროგრამების მონიტორინგი და ეფექტიანობის შეფასება³². პრობლემას ქმნიდა ადამიანური რესურსის და (კვალიფიციური) კადრების სიმწირეც, რადგან, მაგ.: პრობაციის ბიუროს პროგრამა მოიცავდა ბენეფიციართა შეზღუდულ რაოდენობას და 9 ფსიქოლოგს (ასოციაცია „მერკურის“ ფსიქოლოგი, ზუგდიდი) - საქართველოს მასშტაბით. არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ საჭიროა შესაბამისი კადრების მოძიება და ცალკე საშტატო ერთეულის შექმნა, რომლებიც მხოლოდ აღნიშნულ პროგრამაში იქნებიან ჩართულები, ხოლო სოციალურ მუშაკებს არ უნდა ჰქონდეთ სხვა მომიჯნავე პასუხისმგებლობა.

3. შესაძლებელია თუ არა მოძალადის ქცევის კორექცია?


აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მსჯელობამ, თუ რამდენადაა შესაძლებელი მოძალადე „შეიცვალოს/გამოსწორდეს“ და შეძლოს საკუთარი აგრესიის გაკონტროლება. კოგნიტიურ-ბიჰევიორული მიდგომა გულისხმობს, რომ ძალადობრივი ქცევა დასწავლილია და, შესაბამისად, მისი შეცვლა შესაძლებელია (დულუსის მოდელი). 2018-2019 წწ. მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამები ხორციელდებოდა პრობაციის ეროვნული ბიუროსა და პენიტენციური სამსახურის მიერ. თუმცა, ვინაიდან არ მომხდარა აღნიშნული პროგრამების შეფასება, არ არსებობს მტკიცებულებით გამყარებული მონაცემები პროგრამის ეფექტიანობის შესახებ, შესაბამისად - პოზიტიური შედეგების შესახებ (საქართველოს მასშტაბით) შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ინდივიდუალურ და პირად გამოცდილებაზე დაფუძნებული მაგალითებით. თვისებრივი კვლევის თითქმის ყველა მონაწილე აღნიშნავს, რომ, პირველ რიგში, საჭიროა კრიზისული ოჯახების პრობლემებზე დროული რეაგირება, სანამ კონფლიქტური სიტუაცია უფრო რთულ ფაზაში გადავა.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემების მიხედვით, მოძალადის (ქცევის) შეცვლის პერსპექტივა უფრო პოზიტიურია. 5-ქულიან სკალაზე საშუალო მაჩვენებელი ოდნავ აღემატება სკალის ნეიტრალურ წერტილს - 3-ს და მოქცეულია მაღალი შეფასების ველში (საშუალო მაჩვენებელი=3.1). პროცენტული განაწილება კი შემდეგია (იხ. დიაგრამა №3.1)

31 UN WOMEN საქართველო. ხელმისაწვდომია <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2021/05/meeting-initiated-by-un-women-on-strengthening-perpetrator-behaviour-correction-programmes>

32 სახალხო დამცველის ანგარიში, 2019. გვ.196, ხელმისაწვდომია <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

მოძალადის გამოსწორება შესაძლებელია?



კვლევის მონაცემების მიხედვით, ის, რომ მოძალადის ქცევის შეცვლა შეუძლებელია, განპირობებულია: ა) წარსული ნეგატიური გამოცდილებით (იყო ძალადობის მსხვერპლი); ბ) მოძალადის ფსიქოლოგიური მდგომარეობით: მოძალადე ყოველთვის თვლის, რომ თავად არაფერი დაუშავებია და მსხვერპლს ადანაშაულებს (შემთხვევათა 56.8%); მოძალადეს არ სურს (სამარცხვინოდ მიაჩნია) აღიაროს, რომ დახმარება ესაჭიროება (შემთხვევათა 54.1%)³³; ან გ) სერვისის მიწოდების ხარვეზით - ადამიანური რესურსის და/ან პროფესიონალიზმის ნაკლებობა.

რაოდენობრივ კვლევაში მამაკაცები უფრო მიუთითებენ, რომ მოძალადე არ აღიარებს დახმარების საჭიროებას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგის მომსახურების ჩართვა და გაძლიერება, რასაც მოჰყვება რეალური სიტუაციის გაცნობიერება როგორც მსხვერპლის, ასევე მოძალადის მხრიდან.

4. განწყობები მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების მიმართ

მონაცემების მიხედვით, ზოგადი დამოკიდებულება მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების მიმართ პოზიტიურია - უმრავლესობა აღნიშნული პროგრამის განვითარების საჭიროებას ხედავს. მეტიც, ისინი თვლიან, რომ სახელმწიფომ ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს მოძალადეების ქცევის კორექციისა და ადიქციასთან (დამოკიდებულებასთან) ბრძოლისთვის: „ოჯახების გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიება თუ დაერქმევა, მეტი ოჯახი (მსხვერპლიც და მოძალადეც) გადადგამს ნაბიჯს, მივიდეს პრობლემის დასაძლევად სპეციალისტთან“. - თამარ ბებია, ასოციაცია „მერკურის“ ფსიქოლოგი. თავად ძალადობის მსხვერპლები, ექსპერტები თუ რიგითი მოქალაქეები

33 შენიშვნა: მონაცემები დათვლილია რესპონდენტთა იმ ჯგუფიდან, ვინც თვლის, რომ მოძალადის გამოსწორება სრულიად ან უფრო შეუძლებელია.

აღნიშნავენ, რომ მსხვერპლის რეაბილიტაციისთვის დახარჯული ყველაწარმოებული რესურსი პრობლემის ცალმხრივი მოგვარებაა, თუ პარალელურად არ მოხდა მოძალადესთან მუშაობა: „მეორე მხარე - მოძალადე - არავის ახსენდება... ფსიქოლოგიური სერვისის მიწოდება როგორც მსხვერპლისთვის, ასევე პარალელურად მოძალადისთვის არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოსავალი... მოხდეს მისი ქცევის კორექცია და მასთან მუშაობა აქტიურად... მაგ., თავშესაფრის მსგავს დაწესებულებაში.“ - ქალების ჯგუფური დისკუსია, ზუგდიდი.

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფიცერი მიუთითებს, რომ სწორედ მოძალადეთა ადრეულ ეტაპზე გამოვლენა გამოიწვევს ოჯახური ძალადობის მუხლით გასამართლებული პირების შემცირებას. საგულისხმოა 34 წლის ძალადობის მსხვერპლი ქალის მიერ დასმული კითხვა, რომლის მიმართ განქორწინების შემდგომ ადგილი ჰქონდა ყოფილი მეუღლის მხრიდან აგრესიული დამოკიდებულების ფაქტს: „რატომ არ შეიძლება, რომ ის პროგრამები, რომლებიც ხორციელდება „ოფიციალურად აღიარებული“ მოძალადეების მიმართ, იქამდე არსებობდეს, სანამ „მოძალადე“ გახდებოდა? და სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი კრიზისულ ოჯახთან მუშაობდეს, სანამ აშკარა ძალადობის ფაქტი მოხდება? (ინტერვიუ ჩანერილია 2020 წ.).

„რაც იშრომა სახელმწიფომ მსხვერპლის გასაძლიერებლად, სამწუხაროდ, წყალში ჩაყრილი გამოდის. თუ მოძალადის ქცევის კორექციაზე არ ვიმუშავეთ, თუ გარემო არ შევცვალეთ, არ იცვლება შედეგი. მქონდა შემთხვევა, როცა მსხვერპლმა საბოლოოდ უარი თქვა შერიგებაზე. სულ რაღაც ერთ თვეში (ყოფილმა მეუღლემ) სხვა გოგო მოიყვანა ცოლად. ცოტა ხანში ზუსტად იგივე ფორმით დაიწყო მასზე ძალადობა... თუ ამ ადამიანს ვერ დავუხმარებთ, რა გამოდის, ერთი ქალი მეორემ ჩაანაცვლა და საბოლოოდ შედეგების რიცხვი არ შეიცვალა“. - ირმა ბრეგაძე, ქუთაისის კრიზისული ცენტრის და თავშესაფრის ფსიქოლოგი.

„ძირითადი აქცენტი რატომღაც კეთდება მსხვერპლის რეაბილიტაციის პროგრამების საჭიროებაზე და ნაკლებად ვამახვილებთ ყურადღებას მოძალადის რეაბილიტაციის პროგრამაზე. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ გვინდა შევცვალოთ რეალობა ამ კუთხით, მაშინ ის ორგანიზაციები და სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ ამ საკითხებზე, უნდა მუშაობდნენ კონფლიქტის ორივე მხარესთან, რათა არ მოხდეს ესკალაცია და დავიცვათ მსხვერპლი.“ - ე. შ., ახალგაზრდული საკრებულოს წევრი, ჯგუფური დისკუსია, ზუგდიდი.

კვლევის მონაწილეები იძლევიან რეკომენდაციებს, თუ რა უნდა გაკეთდეს მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამებში ჩასართავად (მათი მოტივაციის გაზრდისთვის) და ამ პროგრამების გასაძლიერებლად. როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მონაცემების მიხედვით გამოკვეთილია ფსიქოლოგის მომსახურება და ცნობიერების ამაღლების საჭიროება. ამას გარდა, ეფექტიანობის გაზრდისთვის, მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის მეტად ფოკუსირება პრევენციაზე, მაგ., სკოლებში ძალადობრივი ქცევის მქონე მოზარდებთან მუშაობასა და არაიდენტიფიცირებული მოძალადეების გამოვლენა-ჩართვაზე. ეს უკანასკნელი კი უნდა განხორციელდეს კრიზისულ ოჯახებთან მუშაობით:

თვისებრივი კვლევის მიხედვით:

- ❖ ფსიქოლოგების (მაგ., მუნიციპალიტეტის ბაზაზე), საჭიროების შემთხვევაში - ფსიქიატრის და სოციალური მუშაკების გადამზადება და პროგრამაში ჩართვა, **სადაც კრიზისულ ოჯახებთან იმუშავენ, განსაკუთრებით ადრეულ ეტაპზე:** „*ადრეულ ეტაპზე მოხდეს მუშაობა... როცა ჯერ კიდევ კონფლიქტური სიტუაციებია. პრევენცია უფრო ეფექტიანი იქნება... კონფლიქტურ ოჯახებში იზრდებიან პოტენციური მოძალადეები და მსხვერპლები, ამიტომ რაც შეიძლება ადრე უნდა მოხდეს ასეთი ოჯახების გამოვლენა,*“ - მამაკაცების ჯგუფური დისკუსია, ბალდათი;
- ❖ სოციალური სამსახურის, უბნის ინსპექტორის და მერის წარმომადგენლების როლის გაზრდა კრიზისულ ოჯახებთან მიმართებაში: „*უნდა გააქტიურდეს სოციალური სამსახური - სოციალური მუშაკები, მათ უნდა იმუშაონ [კრიზისულ] ოჯახებთან*“. - გოვა ხატიაშვილი, უფლებადამცველი, ექსპერტი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე; „*უბნის ინსპექტორის მიერ ან სოფლებში მერის წარმომადგენლების მიერ შედგეს სია და გადამისამართდნენ ამ პროგრამაში ჩართვისათვის*“ - ქალების ჯგუფური დისკუსია, ზუგდიდი;
- ❖ ქცევის კორექციის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების ტერიტორიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ❖ მოძალადეების პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობით დაინტერესება, დასაქმების სპეციალისტის ჩართვა პროგრამაში;
- ❖ სკოლებში, განსაკუთრებით ასოციალურ ბიჭებთან და მოზარდებთან მუშაობა და ფსიქოლოგის შტატის არსებობა (მაგ., ზოგიერთი კვლევის მონაწილე მამაკაცი თვლის, რომ 30 წლამდე პირებთან უფრო ეფექტიანად იმუშავენ პროგრამა, 30 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებთან კი რთულია ქცევის შეცვლაზე მუშაობა). „*პრევენციული ღონისძიებები არის ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული, რაც ამცირებს შემდგომ გართულებებს, ზოგავს, როგორც ადამიანურ რესურსს, ასევე ფინანსურს. ადრეული პრევენციისათვის, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია სკოლებში მე-5-მე-6 კლასებიდან მუშაობა ბიჭებთან მათი დამოკიდებულების და ქცევის, მენტალობის კორექციისათვის.*“ - თიკო ქელიშვილი, World Vision სოციალური მუშაკი;
- ❖ საზოგადოების ინფორმირება პროგრამის შესახებ, მათ შორის: პოზიტიური მაგალითების/წარმატების ისტორიების გაცნობა, პროგრამის შეფასების კვლევების ჩატარება და შედეგების გაცნობა საზოგადოებისთვის;
- ❖ მოძღვრის ინსტიტუტის ჩართულობა მორწმუნე ადამიანებისათვის (რომელიც რიგ შემთხვევებში ფსიქოლოგს ჩაანაცვლებს).

რაოდენობრივი კვლევის მონაცემების ტენდენცია თანხვედრაშია თვისებრივი კვლევის მონაცემებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის/ოჯახის წევრების მოთმინებისა და ძალადობრივ ქცევაზე ნაკლები რეაგირება დაბალი შეფასების ველშია, რაც მიუთითებს, რომ აღნიშნული ფაქტორი რესპონდენტების უმრავლესობისთვის მოძალადის

ქცევის შეცვლის საშუალებად აღარ/ნაკლებად განიხილება. ყველა დანარჩენი ღონისძიება მნიშვნელოვანია, თუმცა გამოიკვეთა ორი ფაქტორი: ფსიქოლოგის ჩართვა (საშუალო მაჩვენებელი=4.1) და იმ სპეციალისტების ჩართვა, რომლებიც მოძალადეს ადიქციისგან (დამოკიდებულებისგან) გაათავისუფლებს (საშუალო მაჩვენებელი=4.1).

სქესის ქრილში გამოვლინდა, რომ მოძალადის ქცევის შეცვლის ხელშესაწყობად, სპეციალისტების ჩართვა, რომლებიც მოძალადეს ნივთიერებაზე/აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებისგან გაათავისუფლებს, ქალებისთვის უფრო მნიშვნელოვანია (უფრო/ძალზე შეუწყობს ხელს - 78%), ვიდრე მამაკაცებისთვის (უფრო/ძალზე შეუწყობს ხელს - 58%). ასევე ოჯახის წევრების/მსხვერპლის მოთმინება და ძალადობრივ ქცევაზე ნაკლები რეაგირება ქალებისთვის უფრო ნაკლებად განიხილება მოძალადის ქცევის შეცვლის ხელშემწყობ ფაქტორად (უფრო/საერთოდ არ შეუწყობს ხელს - 51.1%), ვიდრე მამაკაცებისთვის (უფრო/საერთოდ არ შეუწყობს ხელს - 35.1%). იხ. ცხრილი №4.1

ცხრილი №4.1

ჩამოთვლილი ღონისძიებები რამდენად შეუწყობს ხელს მოძალადის ქცევის შეცვლას?		საშუალო მაჩვენებელი (Mean)
1	ოჯახის წევრების/ახლობლების/ნაცნობების/მეგობრების ჩარევა	3.3
2	მოძალადის სამართლებრივი დასჯა (პატიმრობის ჩათვლით)	3.3
3	მოძალადის დასაქმების ხელშეწყობა	3.8
4	სოციალური მუშაკის ჩართვა	3.8
5	ეკლესიის/მოდერის ჩართულობა	3.8
6	ფსიქოლოგის ჩართვა	4.1
7	პოლიციის წარმომადგენლების ჩართვა (მოძალადესთან მუშაობა)	3.4
8	იმ სპეციალისტების ჩართვა, რომლებიც მოძალადეს ნივთიერება-სა (ალკოჰოლი, ნარკოტიკი) და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებისგან გაათავისუფლებს	4.1
9	მხოლოდ ოჯახის წევრების/მსხვერპლის მოთმინება და ძალადობრივ ქცევაზე ნაკლები რეაგირება	2.6
10	ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება	3.9

შენიშვნა: მონაცემები დათვლილია 5-ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი „1“ ნიშნავს „საერთოდ არ შეუწყობს ხელს“, ხოლო ციფრი „5“ – „ძალზე შეუწყობს ხელს“. სკალის ნეიტრალური პუნქტია ციფრი „3“. შესაბამისად, მონაცემები, რომლებიც აღემატება „3“-ს, მოქცეულია მაღალი შეფასების ველში, ხოლო მონაცემები, რომლებიც „3“-ზე ნაკლებია - დაბალი შეფასების ველში.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა უმეტესობა ფიქრობს, რომ მოცემულ ეტაპზე, არც საკუთრივ მოძალადეები და არც მათი ოჯახის წევრები/საზოგადოება არ არიან მზად მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამაში ჩასართავად (რაოდენობრივ კვლევაში საშუალო მაჩვენებელი დაბალი შეფასების ველშია მოქცეული - საშუალო მაჩვენებელი=2.9³⁴, ე.ი. ნეგატიური შეფასებისკენ იხრება). „საზოგადოებას [ოჯახში] ძალადობა არ მიაჩნია ისეთ სერიოზულ დანაშაულად, როგორცაა, მაგალითად, მკვლელობა, ქურდობა, ყაჩაღობა...“ - ქალების ჯგუფური დისკუსია, თერჯოლა.

აღნიშნული გარემოება განპირობებულია მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით, შესაბამისი პოლიტიკის არარსებობით და გამყარებულია სტერეოტიპებით. შედეგად, მოძალადეები ფსიქოლოგის ჩარევას აკავშირებენ ფსიქიკურ პრობლემებთან და ამის გამო უარს ამბობენ მომსახურების მიღებაზე. ასევე, არ ხდება სოციალური მუშაკის ჩართვა კონფლიქტის საწყის ეტაპზე (ძალადობის ფაქტის დაფიქსირებამდე). აღნიშნული ფაქტორების დაძლევა გაზრდის საზოგადოების მზაობას და მიმღებლობას მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის მიმართ: „ადრე შშმ პირებს მალავდნენ ოჯახში, ინტეგრაცია არ ხდებოდა საზოგადოებაში, მას მშობლები არ აღიარებდნენ. დღეს კი ინტეგრირებულებიც არიან და წარმატებულებიც. რატომ?! მათზე დაინყო პროგრამამ მუშაობა, დაიხარჯა თანხები, რომ ეს ხალხი საზოგადოებაში გამოეყვანათ და ბევრი სრულფასოვნად არის ინტეგრირებული საზოგადოებაში. მე ვფიქრობ, რომ ასე იქნება ამ შემთხვევაშიც... ნელ-ნელა მივალთ შედეგამდე.“ - თორნიკე, 38 წლის, სპორტსმენი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ძალადობის მსხვერპლის უსაფრთხოება პირდაპირ უკავშირდება მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის დანერგვასა და მასში მოძალადის ჩართვას (რაოდენობრივ კვლევაში საშუალო მაჩვენებელი მაღალი შეფასების ველშია მოქცეული - საშუალო მაჩვენებელი=3.93³⁵, ე.ი. პოზიტიური შეფასებისკენ იხრება).

კვლევაში მონაწილე ზოგიერთი დარგის სპეციალისტი და ექსპერტი მიუთითებს, რომ მოძალადეს/პოტენციურ მოძალადეს ხშირ შემთხვევაში უჭირს ოჯახურ კონფლიქტებში საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება, რაც აუცილებელს ხდის ქცევის კორექციის პროგრამაში ჩასართავად „სავალდებულო“ კომპონენტის ინტეგრირებას: „მიუხედავად იმისა, რომ საჭიროება არის და ჩვენი ორგანიზაციაც სთავაზობდა აღნიშნულ სერვისს, პრაქტიკაში ბევრი მამაკაცი თავს იკავებდა ნებაყოფლობით კონფლიქტოლოგთან ან ფსიქოლოგთან მოსვლისგან, არადა „წყვილებთან“ მუშაობის უკვე არსებული გამოცდილება ცხადყოფს, თუ რამდენად ეფექტიანია ეს მუშაობა, კონფლიქტების დეესკალაციის და ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით.“ - ხათუნა გოგუა, კონფლიქტოლოგი, ქალთა ფონდი „სოხუმი“.

34 5-ქულიან სკალაზე, სადაც ნეიტრალური წერტილი არის ციფრი „3“

35 5-ქულიან სკალაზე, სადაც ნეიტრალური წერტილი არის ციფრი „3“

4.1 როგორი უნდა იყოს მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამა? რა ტიპის მომსახურებები უნდა მიიღოს პროგრამის ბენეფიციარმა?


თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა მხრიდან გამოიკვეთა მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის და მისი დანიშნულების მიმართ რამდენიმე ძირითადი მიდგომა:

- ❖ პროგრამა უნდა იყოს უფასო (სპეციალისტების აზრით, შესაძლოა სწორედ აღნიშნული ფაქტორი გახდეს მოძალადეების პროგრამაში ჩართვის მოტივატორი, მაგ.: *„უფასოდ ვთავაზობენ ფსიქოლოგთან საუბარს და სულ არ მიფიქრია, რომ უარი მეთქვა... რომ ჩავერთე, ძალიან მომეწონა და არცერთი შეხვედრა არ გამომიტოვებია. ჯერ ძალით მოჰყავდათ ყველა, მერე ნასვლა არ უნდოდათ.“* - გ.ფ. მამაკაცი, 37 წლის, მოძალადე;
- ❖ პროგრამა უნდა იყოს ინდივიდუალური და მოძალადის სპეციფიკურ თავისებურებებზე მორგებული (ქეისზე);
- ❖ პროგრამაში თავიდანვე ორივე მხარე უნდა იყოს ჩართული - მოძალადეც და მსხვერპლიც (ამ მოსაზრებას ძალადობის მსხვერპლებიც ემხრობიან);
- ❖ პროგრამაში აუცილებელია ჯგუფური თერაპიის გათვალისწინება, ე.წ. თანამგზავრის ეფექტი, როდესაც მსგავსი ცხოვრებისეული გამოცდილების ადამიანებთან ინდივიდი უფრო გულახდილი ხდება (ამას განსაკუთრებით აღნიშნავენ ყოფილი პრობაციონერები - ქცევის კორექციის პროგრამის ყოფილი ბენეფიციარები);
- ❖ კვლევაში ჩართული ყველა მონაწილე ხაზს უსვამს მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამაში **ფსიქოლოგის ჩართულობას და მის პოზიტიურ როლს**. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს **სოციალური მუშაკის** აუცილებელი ჩართულობის (მოძალადის საჭიროების განსაზღვრისათვის) და **იურიდიული მომსახურების** განევის საჭიროების შესახებ;
- ❖ ზოგიერთი ექსპერტი და ძალადობის მსხვერპლი მიუთითებს, რომ **უნდა შეიქმნას კრიზისული ცენტრი მოძალადეებისთვის**, სადაც ისინი მიიღებენ ყველა საჭირო მომსახურებას (ფსიქოლოგიური, იურიდიული მომსახურება - სოციალური მუშაკი შეაფასებს საჭიროებებს).

რაც შეეხება რაოდენობრივ კომპონენტს, ამ შემთხვევაშიც პრიორიტეტულია **ფსიქოლოგის მომსახურება (შემთხვევათა 55.5%)**, ასევე **ადიქციისგან (დამოკიდებულებისგან) გათავისუფლება (შემთხვევათა 59.3%)**, **მოძალადისა და მსხვერპლის ერთობლივი კონსულტაცია (შემთხვევათა 44.7%)**. სქესის მიხედვით დაფიქსირდა განსხვავებები, კერძოდ: ქალებისთვის ცალსახად უფრო მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის მომსახურება და მოძალადის ნივთიერებაზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება, ხოლო მამაკაცებთან - ნივთიერებაზე დამოკიდებულების გარდა, მოძალადის და მსხვერპლის ერთობლივი ფსიქოლოგიური კონსულტაცია. **იხ. დიაგრამები №4.1.1 და №4.1.2**


დიაგრამა №4.1.1

რა ტიპის მომსახურება უნდა მიიღოს მოძალადემ?



დიაგრამა №4.1.2

**რა ტიპის მომსახურება უნდა მიიღოს მოძალადემ?
(სქესის მიხედვით)**



ზოგადად, მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილე დარგის სპეციალისტები და ექსპერტები ქართული რეალობისთვის მიზანშეწონილად მიიჩნევენ, პირველ რიგში - პოლონური მოდელის განხორციელებას. ასევე მიუთითეს ესპანური და ამერიკული მოდელების ეფექტიანობის შესახებ.

5. მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის მახასიათებლების შეფასება

5.1 ბენეფიციარის ჩართვა პროგრამაში

მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პროგრამაში ბენეფიციარის ჩართვის გზები და საშუალებები, თვისებრივი კვლევის მონაცემების თანახმად, აზრები გაიყო და გამოიკვეთა შემდეგი მოსაზრებები:


- ❖ **მხოლოდ ნებაყოფლობითი** - არგუმენტად წარმოდგენილია მოსაზრება, რომ იძულებით ადამიანის შეცვლა არ ხდება, თუ მოძალადემ თავად არ გააცნობიერა: „*პერმანენტულად ვერ ვაიძულებთ მოძალადეებს პროგრამაში ჩართვას, არ იმუშავენ.*“ - ხათუნა გოგუა, ქალთა ფონდი „სოხუმის“ კონფლიქტოლოგი. „*ის აქამდე უნდა მივიყვანოთ*“ ან წახალისებით (მაგ., პროფესიული გადამზადებით და დასაქმების ხელშეწყობის გზით), ან პოზიტიური მაგალითების დემონსტრირებით - მიუთითებს ჯგუფური დისკუსიების მონაწილეების ნაწილი;
- ❖ **მხოლოდ სავალდებულო** - აღნიშნული საშუალების „მომხრეები“ თვლიან, რომ საზოგადოების მენტალიტეტის და გაბატონებული სტერეოტიპების გავლენით, ნებაყოფლობით თითქმის არცერთი მოძალადე ჩაერთვება პროგრამაში, რადგან მოძალადეები და ზოგჯერ მათი ოჯახის წევრები/ახლობლები/საზოგადოება ვერ ხედავენ რეაბილიტაციის საჭიროებას. მაგ., ერთ-ერთმა მსხვერპლმა როდესაც მეუღლეს შესთავაზა ფსიქოლოგთან ვიზიტი, საპასუხოდ გაორმაგებული ძალადობა მიიღო: „*ჩათვალა, რომ მე მის გამოსწორებას ვცდილობდი*“. - ს. დ., ხონი; ქცევის კორექციის პროგრამის ერთ-ერთი ყოფილი ბენეფიციარი მიუთითებს, რომ, ნებაყოფლობით არ ჩაერთვებოდა, თუმცა მას მერე, რაც „დაავალდებულეს“ მონაწილეობა, თავადაც დაინტერესდა და კმაყოფილი დარჩა. სპეციალისტების აზრით, **იძულებითი ფორმის გამოყენება ეფექტიანი იქნება მოძალადე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების მიმართებითაც**. ასოციაცია „მერკურის“ წარმომადგენლის აზრით, არავის აქვს ილუზია, რომ მოძალადეები ქცევის კორექციის პროგრამაში მაშინვე ჩაერთვებიან. პოლონური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოძალადებისადმი „წვდომა“ პენიტენციურ სისტემაში მყოფი და პრობაციონერი მოძალადეების პროგრამაში ჩართვით განხორციელდა. ხოლო მომდევნო ეტაპი სისტემის მიღმა არსებული მოძალადეების ადრეულ ეტაპზე პროგრამაში ინტეგრირებაა.

- ❖ **კომბინირებული** - იმ მოძალადეების ნაწილისთვის, ვისაც ოფიციალურად დაეკისრა სამართლებრივი პასუხისმგებლობა, პროგრამაში ჩართვა უნდა იყოს სავალდებულო, ხოლო დანარჩენებისთვის - ნებაყოფლობითი (მაგ., შემაკავებელი ორდერის გამოწერის შემთხვევაში, უნდა ჩაერთოს სოციალური მუშაკი ან პოლიციის წარმომადგენელი და მათი მეშვეობით მოხდეს მოძალადის ჩართვა ქცევის კორექციის პროგრამაში). **ალტერნატივა - ირიბი იძულების პრინციპის გამოყენება:** მოძალადეს შესთავაზონ არჩევანი სასჯელი/ სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ან ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართვა;
- ❖ **პროგრამაში ჩართვა, როგორც დამატებითი ღონისძიება** - არ უნდა განიხილებოდეს, როგორც პასუხისმგებლობის/სასჯელის ალტერნატივა.

რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით, მართალია 86.3%-ის აზრით, ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართვა მოძალადისთვის სავალდებულო უნდა იყოს, თუმცა ამავე ჯგუფის თითქმის 44% თვლის, რომ ოჯახში ძალადობის ბრალდებით მსჯავრდებულის ჩართვა პროგრამაში ალტერნატივის შეთავაზების გზით უფრო სასურველია, მაგ., დიდი ფულადი ჯარიმა/პატიმრობა/პირობითი მსჯავრი ან პროგრამაში ჩართვა. მნიშვნელოვანია ნახალისების გამოყენების ხვედრითი წილიც - 34.4%. ნიუანსური განსხვავებები გამოვლინდა ქრილების მიხედვით. უმაღლესი განათლების მქონეთა უფრო დიდმა ნაწილმა უპირატესობა მიანიჭა ნახალისების ფორმას მოძალადის პროგრამაში ჩასართავად (40.5%), ხოლო დასაქმებული რესპონდენტებისათვის თანაბარი მნიშვნელობა აქვს ალტერნატივის შეთავაზებასა და ნახალისებას (დაახლოებით 37%). (იხ. დიაგრამა № 5.1.1)

დიაგრამა № 5.1.1

როგორ უნდა ვაიძულოთ ოჯახში ძალადობის ბრალდებით მსჯავრდებული მოძალადე, რომ ჩაერთოს პროგრამაში?




რაც შეეხება პირებს, რომლებიც არ არიან ძალადობის მუხლით მსჯავრდებულნი (ე.წ. „ჩუმი მოძალადეები“), თუმცა შემჩნეულნი არიან ოჯახის წევრების მიმართ ძალადობრივ ქცევაში - მათი ქცევის კორექციის პროგრამაში მოზიდვის ორი გზა გამოიკვეთა (თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით): ცნობიერების ამაღლების

კამპანიის განხორციელება, როგორც მოსახლეობისათვის (მაგ.: სამართალდამცავებთან, პედაგოგებთან, მედიკოსებთან, სტუდენტებთან და ა.შ.), ასევე სკოლებში (შემთხვევათა 48.1%) და სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის როლის გაზრდა კრიზისული ოჯახების იდენტიფიცირების და პოტენციურ მოძალადესთან (ვისაც უჭირს აგრესიის და ბრაზის კონტროლი) და ოჯახის წევრებთან შემდგომი მუშაობა (შემთხვევათა 46.2%). (იხ. დიაგრამა № 5.1.2)

დიაგრამა № 5.1.2

**რა გზით უნდა ჩაერთოს პროგრამაში ე.წ. „ჩუმი მოძალადე“?
(პასუხების რაოდენობა)**




ჭრილების მიხედვით გამოვლინდა განსხვავებები, რომლებიც სპეციფიკურია თავად აღნიშნული ჯგუფებისთვის:

- ❖ ქალები, უმაღლესი განათლების მქონენი და დასაქმებულები, პროგრამაში „ჩუმი მოძალადეების“ მოზიდვის გზებს შორის უპირატესობას ანიჭებენ სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის მუშაობას (შემთხვევათა 49.1%), ხოლო მამაკაცები - ცნობიერების ამაღლების კამპანიის განხორციელებას (შემთხვევათა 54.1%) და უბნის ინსპექტორის და/ან სოფლებში მერის წარმომადგენლების მიერ მათ აღრიცხვას (შემთხვევათა 48.1%);
- ❖ მოწყვლადი ჯგუფისთვის (მრავალშვილიანი დედა, მარტოხელა ქალი, ძალადობის მსხვერპლი, სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მქონე, სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტი, შშმ პირი) მნიშვნელოვანია უბნის ინსპექტორის და/ან სოფლებში მერის წარმომადგენლების მიერ მათი აღრიცხვა და პროცესში თვითმმართველობის აქტიური ჩართვა (დაახლოებით 42-43%); იხ. დიაგრამა №5.1.3

დიაგრამა № 5.1.3

**რა გზით უნდა ჩაერთოს პროგრამაში „ჩუმი მოძალადე“?
(პასუხების რაოდენობა სქესის მიხედვით)**



5.2 მოქალაქის ქცევის კორექციის პროგრამის მომსახურების მიმწოდებლები და განხორციელების ფორმები

აღრეულ ეტაპზე მოქალაქის ქცევის კორექციის პროგრამების წარმატებით განხორციელება მულტისექტორულ თანამშრომლობას მოითხოვს. დარგის სპეციალისტები, ექსპერტები და სხვა პირები მიუთითებენ, რომ მხოლოდ სახელმწიფოს მიერ პროგრამის ეფექტიანად განხორციელება ვერ მოხერხდება:

- ❖ თუ კერძო და არასამთავრობო სექტორი იქნება სერვისის მიმწოდებელი, შესაძლებელია, თვითმმართველობა ჩაერთოს პროგრამის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების გზით, ე.ი. პროგრამა განხორციელდეს სახელმწიფოს „ქოლგის ქვეშ“ და ნებისმიერი კვალიფიციური რესურსის გამოყენებით (მაგ., „კრიზისულ ოჯახებთან მუშაობა (სსო-ს მიერ, ან ფსიქოლოგიური ჯგუფური თერაპიის სერვისის მიწოდება სპეციალიზებული ფსიქოლოგიური სერვისის მიერ);
- ❖ კვლევის მონაწილეთა გარკვეულმა ნაწილმა მიუთითა, რომ თვითმმართველობებში შეზღუდული ფინანსური რესურსის გამო, სასურველია, თანამშრომლობა შედგეს ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროებსა და კერძო/არასამთავრობო სექტორს შორის;


- ❖ გამოითქვა მოსაზრება, რომ მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის საწყის ეტაპზე სახელმწიფო უწყებების მიერ შეიქმნას მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით იმუშავებს (მაგ.: სპეციალიზებული კრიზისული ცენტრის შექმნა, ბენეფიციარების მოზიდვა, სერვისის მინოდება და ა.შ.);
- ❖ ქცევის კორექციის პროგრამაში ბენეფიციარების ჩართვა/ჩართვის საჭიროების განსაზღვრა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) მუნიციპალიტეტის შესაბამისი განყოფილების მიერ (კრიზისული ოჯახის იდენტიფიცირება და პროგრამაში პოტენციური მოძალადის თუ კონფლიქტში მყოფი წყვილების ინტეგრირება ადგილებზე სოციალური მუშაკის ჩართულობით); ბ) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ - სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, სამართლის სპეციალისტის/უბნის რწმუნებულის/პოლიციელის მონაწილეობით³⁶. ამავ ე მულტიდისციპლინურმა გუნდმა ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე უნდა განსაზღვროს, მოძალადეების რომელ კატეგორიას პროგრამის რა ფორმატი, ვადები, ციკლის ხანგრძლივობა შეესაბამება. პროგრამაში ბენეფიციარების მოზიდვის და ჩართვის შემდეგ გამოიყენონ სამოქალაქო სექტორის რესურსი;
- ❖ თვისებრივი მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიწყო პროგრამის პილოტირება და შემდგომ გაგრძელდეს სახელმწიფო დაწესებულების მიერ/ან დაფინანსდეს სახელმწიფოს მიერ;
- ❖ რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად, პირველი და მეორე რიგის სერვისის მიმწოდებლებად დასახელდა სახელმწიფოს მიერ შექმნილი მულტიდისციპლინური ჯგუფი კრიზისულ ცენტრებში (შემთხვევათა 61.3%) და სახელმწიფო დაფინანსებით/თანადაფინანსებით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მართული სპეციალური სარეაბილიტაციო ცენტრი (შემთხვევათა 45.5%). **იხ. დიაგრამა №5.2.1**

„უწყებების თანამშრომლობით... უნდა არსებობდეს ჯგუფი, რომელშიც შევა სოციალური მუშაკი, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, ფსიქოლოგი... კოალიციური მუშაობა კვალიფიციური კადრების გამოყენებით როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სტრუქტურებიდან. სახელმწიფო უნდა იყოს ზედამხედველი და დანარჩენი ჩამოთვლილი იყოს შემსრულებელი.“ - ქალების ჯგუფური დისკუსია, თერჯოლა.

³⁶ თვისებრივი მონაცემების მიხედვით, პროგრამაში მონაწილეობის შესახებ რეკომენდაცია უნდა გაიცეს: მხოლოდ ფსიქოლოგის ან ფსიქოლოგთა ჯგუფის მიერ; მხოლოდ სოციალური მუშაკის მიერ; მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ; თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის წარმომადგენლების მიერ; ოჯახის წევრების მიერ.

დიაგრამა №5.2.1

**რომელი უწყების მიერ უნდა განხორციელდეს პროგრამა?
(პასუხების რაოდენობა)**



ქცევის კორექციის პროგრამის განხორციელების ფორმა უნდა მოიცავდეს ჯგუფურ და ინდივიდუალურ თერაპიას (თვისებრივი კვლევის მონაწილეები უფრო ჯგუფური თერაპიის ეფექტიანობაზე მიუთითებენ):

- ❖ მამაკაცები და ძალადობის მსხვერპლები ხაზს უსვამენ **ჯგუფური თერაპიის უპირატესობას**, გულწრფელობის ხარისხის გაზრდის და მოკლე დროში ბენეფიციართა უფრო მეტი რაოდენობის ჩართვის თვალსაზრისით. თუმცა ასევე აღინიშნა ჯგუფური თერაპიის **ხარვეზი**, კერძოდ კი რომელიმე ბენეფიციარის მხრიდან ძალადობასთან დაკავშირებული საკითხისადმი უარყოფითი მიდგომის ან გულგრილობის გამომჟღავნებამ, შესაძლოა, სხვა ბენეფიციარებში უნდობლობა ან პროგრამის დატოვების სურვილი გამოიწვიოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პოზიტიურ მაგალითებზე აქცენტირება;
- ❖ ზოგიერთი მონაწილე ხაზს უსვამს **ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თერაპიის** ფინანსურ არახელმისაწვდომობას და ამ მოტივით უპირატესობას ოჯახურ თერაპიას ანიჭებს;
- ❖ თუ მოძალადე ძლიერი აგრესიულობით გამოირჩევა, კვლევის ზოგიერთი მონაწილის აზრით, უმჯობესია მასთან **ინდივიდუალური, ხოლო მოგვიანებით - ჯგუფური და/ან ოჯახური თერაპია ჩატარდეს** (ოჯახური გარემოს/ფონის გაუმჯობესების მიზნით).

5.3 მოძალადის ქცევის კორექციის სამიზნე ჯგუფები

აუცილებელია, მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამის სამიზნე ჯგუფები. თვისებრივი კვლევის მასალებიდან, ძირითადად, გამოიკვეთა შემდეგი:


- ❖ **იდენტიფიცირებული მოძალადეები:**
 - მოძალადეები, რომლებსაც დაეკისრა სამართლებრივი პასუხისმგებლობა (არიან მსჯავრდებულები, ან მოხდელი აქვთ სასჯელი);
 - მოძალადეები, ვის მიმართაც გამოცემულია შემაკავებელი ორდერი (მინიჭებული აქვთ მოძალადის სტატუსი);
- ❖ **არაიდენტიფიცირებული მოძალადეები** - ვისაც არ დაკისრებია სამართლებრივი პასუხისმგებლობა და შედარებით „მსუბუქი ფორმის“ ძალადობას მიმართავენ - პირები კრიზისული/კონფლიქტური ოჯახებიდან;
- ❖ **დარგის სპეციალისტებმა და ექსპერტებმა** მიუთითეს **ძალოვან და სამართალდამცავ სტრუქტურაში მომუშავე პირების** და მათი ოჯახების შესწავლის საჭიროების შესახებ, რადგან დაძაბული და სტრესული სამუშაო გარემო ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ განწყობასა და ქცევაზე და ნაწილს უბიძგებს ძალადობრივი ქმედებების ჩადენისკენ (შესაბამისად, საჭიროა მათი პერიოდული მონიტორინგი და სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვა).
- ❖ კვლევაში ჩართულ პირთა ნაწილმა (მათ შორის ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილე მამაკაცებმა) პროგრამის სამიზნე ჯგუფად დაასახელა სკოლაში **ასოციალური ქცევის მქონე ბიჭები** და არასრულწლოვნები, რომელთა მიმართ გამოიცა შემაკავებელი/დამცავი ორდერი.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით, მეტწილად გამოიკვეთა ბენეფიციარების ორი ჯგუფი: **არაიდენტიფიცირებული მოძალადეები (შემჩნეული ძალადობრივ ქცევაში) - შემთხვევათა 59.1% და პირები, რომლებზეც გამონერილია შემაკავებელი ორდერი, თუმცა (სამართალდარღვევის ხასიათიდან გამომდინარე), არ არიან მიცემულნი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, ან მათ მიმართ არ არის გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება საპატიმროს სახით - შემთხვევათა 57.9%.**

ასევე მნიშვნელოვანი და თანაბარი ხვედრითი წილი აქვთ მოძალადეებს კრიზისული/კონფლიქტური ოჯახებიდან და ასოციალური ქცევის მქონე ბიჭებს (შემთხვევათა დაახლოებით 45%). **ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის საჭიროებას აჩვენებს ის ფაქტიც, რომ ქალებისთვის პირველი რიგის ბენეფიციარებს წარმოადგენენ არაიდენტიფიცირებული („ჩუმი“) მოძალადეები (შემთხვევათა 60.4%), ხოლო მამაკაცებისთვის - პირები, რომლებზეც გამონერილია შემაკავებელი ორდერი (შემთხვევათა 64.1%). (იხ. დიაგრამა №5.3.1)**

დიაგრამა №5.3.1

**ვინ უნდა იყოს პროგრამის ბენეფიციარი?
(პასუხების რაოდენობა)**



5.4 მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის მონიტორინგი

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 97.9%-მა მიუთითა, რომ მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამა მონიტორინგს საჭიროებს.

თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის მონიტორინგის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი, რაც უზრუნველყოფს როგორც პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას და მდგრადობას, ასევე მოძალადისთვის ერთგვარ გაფრთხილებასაც, რომ იგი დაკვირვების და ყურადღების ქვეშაა („მონიტორინგის დროს ვხვდები, რომ ისევ კონტროლზე ვარ, ისევ მეთვალყურეობის ქვეშ და ეს ყველაფერი გაიძულებს საბოლოოდ, რომ არ გაიმეორო ის შეცდომა, რაც ერთხელ დაუშვი.“ - გ.ფ., ძალადობის ბრალდებით მსჯავრდებული, 37 წ., ზუგდიდი) - ეს კი ძალადობის მსხვერპლისთვის განმეორებითი ძალადობის პრევენციას წარმოადგენს. ამას გარდა, მონიტორინგის შედეგად შესაძლებელია როგორც ჩატარებული მუშაობის ზეგავლენის შეფასება, ასევე დამატებითი საჭიროებების გამოვლენა.

ჯგუფურ დისკუსიებზე გამოითქვა მოსაზრებები, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი (იმ წინაპირობით, რომ არცერთი ქმედება მოძალადის უფლებებს არ უნდა არღვევდეს):

- ❖ დაკვირვება და რისკების შესაფასებლად ტესტირების ჩატარება პროგრამის დასაწყისში, შუალედში და ბოლოს. ასევე ინდივიდუალური გასაუბრებები მოძალადეებთან;


- ❖ **ყოველთვიური მონიტორინგი** - გასაუბრება მოძალადის ოჯახის წევრებთან, მეზობლებთან; თუ ჰყავს არასრულწლოვანი შვილები - ბალის/სკოლის პედაგოგებთან;
- ❖ პროგრამის დასრულებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ **ფსიქოლოგის კონსულტაცია** მოძალადის ზოგადი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესამოწმებლად;
- ❖ **კვირაში ერთხელ მოძალადის ქცევის კონტროლი/დაკვირვება**, პროგრამის დასრულების შემდგომ.

რაც შეეხება საკითხს, თუ **კონკრეტულად ვინ უნდა განხორციელოს მონიტორინგი**, თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებში, ძირითადად, გამოიკვეთა **სოციალური მუშაკის და ფსიქოლოგის როლი (სოციალური მუშაკი - 52.6%, ფსიქოლოგი - 27.7%)**; დასახელდა ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, პოლიციელი. ნაწილმა დააფიქსირა მონიტორინგის განხორციელება - **მულტიდისციპლინური გუნდის** საშუალებით (მაგ., სოციალური მომსახურების სააგენტოს - სოციალური მუშაკის, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით). ხაზი გაესვა სახალხო დამცველისთვის მონიტორინგის განხორციელების მანდატის მინიჭების საჭიროებას.

კვლევის მონაწილეებმა განსაზღვრეს როგორც ქცევის კორექციის პროგრამის, ასევე მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო ვადები: თვისებრივი კვლევის ფარგლებში დასახელდა 3-6 თვიდან და 1-2 წლამდე ვადები. დაახლოებით იგივე მაჩვენებლები დაფიქსირდა რაოდენობრივ მონაცემებში, სადაც როგორც პროგრამის, ასევე მონიტორინგის ხანგრძლივობის ყველაზე სასურველი ვადები არის 3-6 თვე (დაახლოებით 27-30%) და 6-12 თვე (დაახლოებით 37-40%). (იხ. დიაგრამა №5.4.1)

დიაგრამა №5.4.1

როგორი უნდა იყოს ხანგრძლივობა:




6. რას ნიშნავს მოძალადის ქცევის კორექციის წარმატებული პროგრამა?

მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობის აზრით, მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის წარმატება თანაბრად და დამოკიდებული განმეორებითი ძალადობის პრევენციასა და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფაზე (დაახლოებით 30%). განსხვავებები გამოვლინდა სხვადასხვა ქრილის მიხედვით: უმაღლესი განათლების მქონე და დასაქმებული ქალებისთვის შედარებით გამოკვეთილია ძალადობის განმეორებადობის აღკვეთა (მონაცემები ვარირებს 32–35%-ის ფარგლებში), ხოლო მამაკაცებისთვის - მოძალადის ოჯახში მშვიდობიანად დაბრუნება და თანაცხოვრება (მონაცემები ვარირებს 34-42%-ის ფარგლებში). (იხ. დიაგრამა №6.1)

დიაგრამა №6.1

პროგრამის წარმატებით დასრულება ნიშნავს...




თვისებრივი მონაცემები უჩვენებს, რომ მონაწილეები ნაცნობებს/ახლობლებს/ მეგობრებს ამგვარ პროგრამაში ჩართვაზე რეკომენდაციას მისცემდნენ, თუმცა თავი შეიკავეს აზრის გამოთქმისგან - თავად ჩაერთვებოდნენ თუ არა, რაც სტერეოტიპების გავლენით შეიძლება აიხსნას. ერთი მხრივ, დღესდღეობით საზოგადოებაში კვლავ მაღალია ფსიქოლოგთან/პროფესიონალთან მისვლის სტიგმატიზაციის დონე, რაც აიხსნება ისეთი ცრურწმენის შენარჩუნებით, როცა ფსიქოლოგთან მისვლის ფაქტი ფსიქიკური ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემად აღიქმებოდა - „რამდენიმეს ახლობელი გაუნანყებდა, რადგან ფსიქოლოგის მომსახურების მიღება ურჩია“ (ქალების ფოკუს-ჯგუფი, ტყიბული). მეორე მხრივ, საზოგადოების ნაწილს უჭირს მასში არსებული პრობლემის ღიად აღიარება და საკუთარი თავის მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის ბენეფიციარად აღქმა. თუმცა, რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ არცთუ ცოტაა (40%) იმ რესპონდენტების ხვედრითი წილი, ვინც გარდა იმისა, რომ სხვასადაც ურჩევდა აღნიშნულ პროგრამაში ჩართვას, თავადაც ჩაერთვებოდა. მამაკაცებს უფრო ურჩევ-

ნიათ თავად არ მიიღონ მონაწილეობა პროგრამაში, მაგრამ სხვას ურჩიონ მის შესახებ (49.6%), ხოლო უმაღლესი განათლების მქონეები და დასაქმებულები ამჯობინებენ, თავადაც მიიღონ მონაწილეობა (დაახლოებით 44-47%). (იხ. დიაგრამა №6.2)

დიაგრამა №6.2

თავად თუ მივიღებდნენ პროგრამაში მონაწილეობას, ან სხვას თუ ურჩევდნენ?



დასკვნა

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრასთან და ძალადობის მსხვერპლი ქალების გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხები არ უნდა გულისხმობდეს მხოლოდ მსხვერპლზე მიმართულ ღონისძიებებს. ძალადობის პრევენციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მოძალადესთან ადრეულ ეტაპზე მუშაობის დაწყება და ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართვა. იმ ფაქტის გამო, რომ ოჯახური ძალადობის ძირითადი გამომწვევი მიზეზები დაკავშირებულია ფსიქო-სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ფაქტორებთან, ქცევის კორექციის პროგრამები (რომლის საბოლოო მიზანი ძალადობრივი გარემოს შეცვლაა, მოძალადის დამოკიდებულებების ცვლილების გზით) უნდა ითვალისწინებდეს:

- ❖ პროგრამაში მოძალადეების მოზიდვის და ჩართვის სხვადასხვა მეთოდს: ნებაყოფლობით, სავალდებულოს და კომბინირებულს, რომელიც ირიბი იძულების ელემენტებს შეიცავს;
- ❖ უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან პროგრამაში ბენეფიციარების ჩართვაზე, ასევე უშუალოდ პროგრამის იმპლემენტაციასა და მონიტორინგის განხორციელებაზე (პროგრამის ეფექტიანობისთვის გამოიკვეთა ინტერ- და ინტრასექტორული თანამშრომლობის აუცილებლობა);
- ❖ პროგრამის სტრუქტურას, ადამიანური რესურსის კვალიფიციურობას და ა.შ.;

- ❖ საზოგადოებრივი ცნობიერების და ინფორმირებულობის გაზრდის კომპონენტს, პროგრამის აუცილებლობის გასაცნობიერებლად და მისდამი მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების განვითარებისათვის საჭიროა დამატებით შემდეგი ნაბიჯების გადადგმა, რაც მულტისექტორული თანამშრომლობის გაძლიერებას და კოორდინირებული ძალისხმევის განხორციელებას მოიაზრებს. მონიტორინგის გამოკვეთილი მიგნებების გათვალისწინებით, რეკომენდებულია:

საქართველოს მთავრობას - გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას

- საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება, რომლითაც განისაზღვრება მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი და ფორმები;
- ადრეულ ეტაპზე (შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემის სტადიაზე) მოძალადეებისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყების განსაზღვრა, პროგრამის შემუშავება და დროული დანერგვა;
- ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის და აღნიშნული პროგრამის მონიტორინგის ხანგრძლივობის და ვადების (არაუმცირეს 6 თვის), განმანხორციელებელი სუბიექტების განსაზღვრა;
- ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის ლიცენზირების გამჭვირვალე კრიტერიუმების განსაზღვრა;
- მოძალადეების ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული მოქმედებების განმანხორციელებელ სახელმწიფო უწყებათა თანამშრომლობის და კოორდინაციის უზრუნველყოფა. მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანია ჯანდაცვის (სოციალური მომსახურების სააგენტო), პრობაციის ეროვნული სააგენტო, შსს-ს და სხვა უწყებების ერთობლივი მუშაობა. მსხვერპლის მხარდაჭერის პროგრამებისა და მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების კოორდინირებულად განხორციელება;
- მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამისთვის სპეციფიკური გაიდლაინებისა და კურიკულუმის შემუშავება, რაც მოიცავს მრავალასპექტიან მიდგომას მოძალადეების და მსხვერპლის პროგრამების საკითხისადმი. სასურველია, მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამა მოერგოს მოძალადის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინდივიდუალური, ჯგუფური და/ან ოჯახური თერაპიის საჭიროება განისაზღვროს ინდივიდუალურად და არა ყველა ბენეფიციარისთვის ანალოგიური, მკაცრად განერილი სტანდარტის მიხედვით;

- მულტიდისციპლინური გუნდის ჩამოყალიბება (მაგ.: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, სამართლის სპეციალისტი/უბნის რწმუნებული პოლიციელი), რომლის მიერ მოხდება ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამაში ბენეფიციარის ჩართვის საჭიროების განსაზღვრა. მნიშვნელოვანია, მკაფიოდ გაიმიჯნოს მოძალადეებთან მუშაობაზე ორიენტირებული სოციალური მუშაკის ფუნქცია, რომელიც თავისუფალი იქნება მომიჯნავე ვალდებულებებისაგან და დაეკისრება კრიზისული ოჯახების იდენტიფიცირების, შეფასების და მათთან მუშაობის ვალდებულება;
- სასურველია, მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების დაფინანსება და განხორციელება მიმდინარეობდეს ძალადობის მსხვერპლის რეაბილიტაციაზე მიმართულ პროგრამებთან ერთად (არაძალადობრივი გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ ცალმხრივად, მსხვერპლის გაძლიერებაზე მიმართული პროექტების დაფინანსებით შეუძლებელია). შესაბამისად, სასურველია მოძალადეების ქცევის კორექციის პროგრამაში რეფერირების ფუნქცია დაეკისროთ სოციალურ მუშაკებს, რომლებიც მუშაობენ ძალადობის მსხვერპლებთან;
- ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა ახალ სამოქმედო გეგმაში მეტი აქცენტი გაკეთდეს ადრეულ ეტაპზე მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამების გაძლიერებასა და განვითარების ხელშეწყობაზე.

მუნიციპალიტეტებს

- მუნიციპალიტეტებში არსებულ ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებებს შეეთავსოს კრიზისულ ოჯახებში პოტენციური მოძალადის იდენტიფიცირების, მისი მდგომარეობის შეფასების, ოჯახში კონფლიქტების პრევენციის მიზნით, ფსიქოლოგთან კონსულტაციისთვის რეფერირების და სხვა ინტერვენციების დაგეგმვის ფუნქცია;
- მუნიციპალიტეტებში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, უწყებათაშორისი კომისიის დაარსების დაჩქარება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სამოქმედო გეგმისა და პროგრამის შედგენასა და ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთათვის მოტივაციის ამაღლებაზე მათი ქცევის კორექციის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვის მიზნით (პოლონეთში ოპოლეს მუნიციპალიტეტის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით);
- მუნიციპალიტეტში მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის ჰიბრიდული მოდელის (ონლაინ და დასწრებული პროგრამები) დანერგვა. მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკის თუ ფსიქოლოგის რეკომენდაციით პროგრამაში პოტენციური მოძალადეების/არაიდენტიფიცირებული მოძალადეების ჩართვის უზრუნველყოფა წამახალისებელი პროგრამების შეთავაზების გზით, მაგ., პროგრამაში მოძალადის ჩართვის წახალისება მოხდეს მოძალადის პროფესიული გადამზადების ან/და დასაქმების ხელშეწყობის გზით (რაც გაზრდის ნებაყოფლობით პროგრამაში ინტეგრირების მოტივაციას პოტენციური მოძალადეებითვის);

- მუნიციპალიტეტების მიერ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა პროფესიულ კერძო დაწესებულებასთან თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელთაც შეუძლიათ კვალიფიციური ფსიქოლოგიური თუ სოციალური დახმარების განწევა მოძალადის ქცევის კორექციის მიმართულებით და ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილი სახსრებით, აუტოსორსინგის გზით მოხდეს მუნიციპალიტეტში იდენტიფიცირებული მოძალადის რეფერირება შესაბამის დაწესებულებაში;
- მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამის გავლენის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმის შემუშავება (პასუხისმგებელი უწყების, მონიტორინგის ინსტრუმენტის და ვადების განსაზღვრით) და რეგულარული განხორციელების უზრუნველყოფა;
- მოძალადებთან მომუშავე პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლების და მონინავე საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების ხელშეწყობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს

- მნიშვნელოვანია მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა, სადაც გაერთიანდებიან სხვადასხვა კატეგორიის მოძალადეები (პრობაციონერები; პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფები; პირობითი სასჯელის მქონენი; პირები, რომლებზეც დამცავი ან შემაკავებელი ორდერია გამოწერილი; პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებულები; პირები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გადასცა მსხვერპლმა/ოჯახის წევრმა (არაიდენტიფიცირებული) და ა.შ.). ბაზა ხელმისაწვდომი უნდა იყოს სერვისის მიმწოდებლებისთვის და პროგრამაში ჩართული უწყებებისთვის, მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესახებ სრული კონფიდენციალურობის დაცვის პირობით. მონაცემთა სისტემატურად შეგროვების უზრუნველყოფის, პროგრამის ზეგავლენის შეფასების და რეციდივების გაზომვის მიზნით;
- სამართალდამცავ სტრუქტურაში მომუშავე პირების და მათი ოჯახების პერიოდული მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვა;
- უბნის რწმუნებულის/მართლწესრიგის ინსპექტორის მიერ კრიზისული ოჯახების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ძალადობის პრევენციის მიზნით ადრეულ ეტაპზე მოძალადესთან გასაუბრება და, საჭიროებისამებრ, შესაბამის დაწესებულებაში რეფერირება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოება;
- სკოლებში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ღონისძიებების ორგანიზება, პოზიტიური მაგალითების/წარმატების ისტორიების გაცნობა;
- მოზარდებთან, განსაკუთრებით ასოციალური ქცევის მქონე ბიჭებთან, მუშაობა და ფსიქოლოგის სამტატო ერთეულის გაძლიერება.

პრობაციის ეროვნულ ბიუროს

- მოძალადის ქცევის კორექციის არსებული პროგრამის აქტიური ამოქმედება და გაგრძელება;
- მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამაში ახალი ბენეფიციარების ნებისმიერ ეტაპზე ჩართვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა (მოდულის მსვლელობისას), მაგ., იმ პირებთან ერთად, ვისაც უკვე აქვს პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება. აღნიშნული მიდგომა გაზრდის ნდობას და ჩართულობის მაჩვენებელს ბენეფიციარების მხრიდან;
- ქცევის პროგრამის განვითარება და გაფართოება სხვადასხვა ტიპის მოძალადეებისთვის (მაგ., პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი, პირობითი მსჯავრდებული, მოძალადე, რომლის მიმართ გაცემულია დამცავი ან შემაკავებელი ორდერი და ა.შ.), რაც მოერგება დანაშაულის სპეციფიკას (ნებაყოფლობითი ან იძულებითი, პენიტენციური დაწესებულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სერვისებისთვის).

საქართველოს პარლამენტს

- „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონში დაკონკრეტდეს სახელმწიფო უწყება და მომსახურების ფორმა, რომელიც განახორციელებს მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მოძალადეთა სხვადასხვა ტიპის ჩართვას ქცევის კორექციის პროგრამაში;
- კანონით განისაზღვროს მოძალადის ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართვის როგორც იძულებითი (მანდატორული), ასევე ნებაყოფლობითი მონაწილეობის წინაპირობები და საფუძვლები; სასურველია, მოძალადეების ჩართვა პროგრამაში განხორციელდეს სხვადასხვა ეტაპზე, მაგ.: წინასწარი დაკავების დროს, შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოწერისას, პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას და პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომ, ან პირობითი მსჯავრის მოხდის პროცესში. თუ მოძალადე არის ნივთიერებაზე ან თამაშზე დამოკიდებული, ან აქვს ფსიქიკური პრობლემები, გარანტირებულად უნდა მიიღოს შესაბამისი სერვისი.

ბიბლიოგრაფია

1. Treatment Programs for Perpetrators of Domestic Violence: European and International Approaches Alessandra Chiurazzi Caterina Arcidiacono Susana Helm Caterina Arcidiacono. NEW MALE STUDIES: AN INTERNATIONAL JOURNAL ~ ISSN 1839-7816 ~ VOL. 4, ISSUE 3, 2015 PP. 5-22 © 2015 AUSTRALIAN INSTITUTE OF MALE HEALTH AND STUDIES გვ. 6, 7
2. პროგრამები ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის: სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი ევროპის საბჭოს კონვენციის - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ნაშრომთა კრებული. ევროპის საბჭო, 2014 წლის სექტემბერი, დაბეჭდილია ევროპის საბჭოში. გვ. 6-8.
3. EUROPEAN PERPETRATOR PROGRAMMES: A SURVEY ON DAY-TO-DAY OUTCOME MEASUREMENT. Research gate. Oriol Gines Canales, Heinrich Geldschlager, David Nax, Alvaro Ponce. STUDIA HUMANISTYCZNE AGH. Tom 14/2 • 2015. გვ.34
4. Eckhardt, Christopher I., Christopher Murphy, Danielle Black, and Laura Suhr. "Intervention Programs for Perpetrators of Intimate Partner Violence: Conclusions From A Clinical Research Perspective." Public health reports 121, no. 4 (2006): გვ. 369-381.
5. Batterer intervention programmes: A meta-analytic review of effectiveness. Esther Arias¹ , Ramón Arce Fernández¹ , Manuel Vilariño Vázquez¹¹ Univ. Santiago de Compostela, Dep. Psicología Social, Básica y Metodología, España. გვ.154
6. Work with Perpetrators of Domestic Violence in Eastern European and Baltic countries / Katarzyna Wojnicka. August 2015. გვ. 38- 42.
7. Treatment Programs for Perpetrators of Domestic Violence: European and International Approaches Alessandra Chiurazzi Caterina Arcidiacono Susana Helm Caterina Arcidiacono. NEW MALE STUDIES: AN INTERNATIONAL JOURNAL ~ ISSN 1839-7816 ~ VOL. 4, ISSUE 3, 2015 PP. 5-22 © 2015 AUSTRALIAN INSTITUTE OF MALE HEALTH AND STUDIES. გვ.8
8. პროგრამები ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის: სტამბოლის კონვენციის მე-16 მუხლი ევროპის საბჭოს კონვენციის - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ნაშრომთა კრებული. ევროპის საბჭო, 2014 წლის სექტემბერი, დაბეჭდილია ევროპის საბჭოში. გვ. 9.
9. Work with Perpetrators of Domestic Violence in Eastern European and Baltic countries / Katarzyna Wojnicka. August 2015. გვ. 38-41
10. Probation and prison based programmes for perpetrators of domestic and sexual violence: a European overview. WWP EN Expert Paper | European probation and prison based programmes for perpetrators of domestic and sexual violence. გვ. 3

11. საქართველოს პარლამენტი. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი. 2-7618/20 13-07-2020. გვ. 9
12. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიში. გვ. 40.
13. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია - პრობლემები და გამონვევები. ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2018 წ. გვ. 14.
14. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. 2018 წ. გვ.133.
15. ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია. მე-16 მუხლი, 1, 2, 3.
16. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მ.6.3ზ, მ.20, მ.7.3
17. საქართველოს მთავრობის დადგენილება N175 „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“; 3.1.3, 3.1.4.
18. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში. გვ. 24.
19. ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა შემუშავდა, UN Women, 2016
20. სახალხო დამცველის ანგარიში, 2019. გვ.196
21. Probation and prison based programs for perpetrators of domestic and sexual violence: a European overview. Expert paper by Sandra Jovanovic (OPNA). WWP / European Network. გვ. 4-11.
22. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, „ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“, 2019, გვ. 7, 21, 42
23. სახალხო დამცველის ანგარიში, 2020. გვ. 202
24. Probation and prison based programmes for perpetrators of domestic and sexual violence: a European overview. WWP EN Expert Paper | European probation and prison based programmes for perpetrators of domestic and sexual violence. გვ. 14
25. MEN'S BEHAVIOUR CHANGE PROGRAMS EVALUATION SUMMARY. PREPARED BY Research, Performance and Evaluation Women NSW. გვ. 3-6.

26. Researching collaborative processes in domestic violence perpetrator programs: Benchmarking for situation improvement. Kristin Diemer, Cathy Humphreys, Chris Laming, Joanie Smith. Journal of Social Work, 2015, Vol. 15(1) 65–86
27. Evaluation readiness, program quality and outcomes in men's behaviour change programs. ANDREW DAY RODNEY VLAIS DONNA CHUNG DAMIAN JOHN GREEN. RESEARCH REPORT ISSUE 01 | APRIL 2019. Published by Australia's National Research Organisation for Women's Safety Limited (ANROWS) PO Box Q389, Queen Victoria Building, NSW, 1230. გვ. 24-25
28. Programas de rehabilitación para agresores en España: un elemento indispensable de las políticas de combate a la violencia de género.
29. Integrated System of Monitoring Cases of Domestic Violence - Spanish experience. Publication edited by Marzena Kordaczuk-Wąs and Magdalena Putka. Warsaw 2011/2012. გვ. 8- 29; 53
30. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა მუშაობის პროგრამები. პოლონეთის და საქართველოს გამოცდილება.
31. ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება ქალაქ ოპოლეს ადმინისტრაციის მიერ. საქართველო, თბილისი, დეკემბერი 2020.
32. პოლონეთის პერსპექტივა და გამოცდილება ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის და ამოცანები მოძალადისთვის დახმარების კონტექსტში.



ქალთა ფონდი „სოხუმი“

**მონიტორინგის ანგარიშზე მუშაობდა
ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:**

ნინო კორინთელი

ეკატერინე გამახარია

ლიდა ჩიხლაძე

მონაცემთა შეგროვებაზე მუშაობდნენ:

ქუთაისის სათაო ოფისის

მონიტორინგის ჯგუფის წევრები:

ემა კამკია, გურანდა გვანცელაძე, თეა გოლეტიანი

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com;

fundsukhmitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi